ისინი ჩვენს საახალწლო განწყობაზე ზრუნავდნენ A2

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა A7

TV-პროგრამა A8



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 3 იანვარი, 2003 წელი. №1 (213)

ფასი 50 თეთრი


## საზოგადოება

### ახალი წელი, მოხუცები, ბავშვები

ახალი წლის მოსვლა ყველაზე მეტად ბავშვებს და მოხუცებს უხარიათ, რასაკვირველია, ძირითადად - პატარების ხათრით. ოჯახებში, სადაც ყველაფერი რიგზეა, ყველაზე უმრწმესები და ყველაზე უხნესები ამ დღეს ერთმანეთის გართობას ცდილობენ - საშუალო თაობას მათთვის არ სცალია, ფუსფუსებს, ფეხებში არ უნდა გაებლანდო... მაგრამ არიან ბავშვები და მოხუცები, რომელთათვისაც ყველაფერი სხვაგვარადაა.

A4

## უცხოეთი

### 2003 წელს კოსმოსში პირველი ჩინელი კოსმონავტი გაფრინდება

ჩინეთის ხელისუფლებამ კოსმოსში პირველი ჩინელი კოსმონავტის გაშვების გეგმა გამოაქვეყნა. ოფიციალური პეკინის განცხადება მას შემდეგ გაკეთდა, რაც ცნობილი გახდა ჩინური უპილოტო ხომალდის ორბიტაზე წარმატებით გასვლის შესახებ.

A4

### 2003 წელს ბრაზილია ახალი პრეზიდენტით იწყებს

2003 წლის 1 იანვარს ბრაზილიის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია შედგა. ღარიბთა წრიდან გამოსულმა ლუის იგნასიო ლულა და სილვამ სამხრეთ ამერიკის უდიდესი ქვეყნის პირველი პირის პოსტი ჩაიბარა.

A4

## კულტურა

### ახალი წელი მსოფლიოს გარშემო

რუსები ამტკიცებენ, რომ მსოფლიოში ყველაზე მაღალი ნაძვისხე პეტერბურგში იდგა. შესაძლოა, ეს ასეც იყო, ოღონდ გადატანითი მნიშვნელობით – მათ ნაძვისხის ფუნქციები 321 მეტრი სიმაღლის სატელევიზიო ანძას მიანიჭეს.

A5

## სპორტი

### სტეფანია სასწაულებს ახდენს

ამ საახალწლო საჩუქრის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი კი ქართველი ვლადიმერ სტეფანია იყო, რომელმაც ამ შეხვედრაში შესანიშნავი თამაში აჩვენა და ერთ მატჩში მიღწეული შედეგიანობით და ჩაჭრების რაოდენობით სეზონის პირადი რეკორდი დაამყარა.

A6

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 9 |
| ქუთაისი | 12 |
| ბათუმი | 14 |
| სოხუმი | 11 |
| ფოთი | 12 |
| თელავი | 8 |
| ზუგდიდი | 12 |
| გორი | 6 |
| ახმეტა | 8 |
| ჭიათურა | 9 |
| გაგრა | 10 |
| სამტრედია | 12 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1119 |
| ევრო | 2.1928 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3826 |
| რუბლი | 0.0664 |

# ჩამოფასებული ახალი წელი



იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე!

*ახალი წლის დღეებში თბილისის მაღაზიათა ვიტრინებზე, გირლიანდებისა და ფიფქების გარდა, უკვე ტრადიციული, ფასდაკლების (SALE) მაუწყებელი პროცენტებიც გაჩნდა. ფასდაკლებაა გამოცხადებული ელექტროსაქონლის, პარფიუმერიის, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მაღაზიებში. ეს ის საქონელია, რაზეც საქართველოში ყოველთვის მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავენ. ეს აზრი აღნიშნული პროფილის მაღაზიებში მომხმარებლის სიმრავლემ წელსაც დაადასტურა. მაღაზიების მეპატრონეები საკმაოდ კმაყოფილნი არიან საახალწლო-საშობაო ვაჭრობით.*

გვანცა კვინიკაძე

პროფილირებულ მაღაზიებს არც დიდი სავაჭრო ცენტრები ჩამორჩნენ. მათი ცალკეული სექციები მნიშვნელოვანი ფასდაკლებით სთავაზობენ მომხმარებელს საქონელს, თუმცა კარგად არის ცნობილი, რომ აქ სადღესასწაულო დღეების გარეშეც შეუძლია შევაჭრების მოყვარულ კლიენტს პატარა "სეილის" მოწყობა. ქალაქის მაღაზიებიდან კი ყველაზე მნიშვნელოვანი ფასდაკლება,

გაგრძელება A2 გვერდზე

# ვაშინგტონს აინტერესებს: საქართველო პრობლემაა თუ პარტნიორი?

ირაკლი არეშიძე

საბჭოთა კავშირის დაშლის (განსაკუთრებით კი - 11 სექტემბრის მოვლენების) შემდეგ, ვაშინგტონის პოლიტიკური ელიტა სულ უფრო დიდ ყურადღებას უთმობს აღმოსავლეთ ევროპასა და ჩინეთს შორის გადაჭიმულ ტერიტორიებს, როგორც რეგიონს, სადაც დღეს ფოკუსირდება შეერთებული შტატების ძირითადი სტრატეგიული ინტერესები. საქმიანი წრეების წარმომადგენლების ინტერესს ამ რეგიონში განსაზღვრავს ნავთობი; გეოპოლიტიკის სტრატეგები კი ხედავენ გეოპოლიტიკური დაპირისპირების ცენტრს, აშშ-სა და მისი "ჰეგემონიის" მოწინააღმდეგე სახელმწიფოების (მაგ. ჩინეთი) ინტერესთა გადაკვეთის წერტილს.

გასული წლის განმავლობაში ბუშის ადმინისტრაცია ცდილობდა ე.წ. ცენტრალური ევრაზიის რეგიონისადმი დამოკიდებულების ყოვლისმომცველი კონცეფციის შემუშავებას. მაგრამ ხსენებულ რეგიონში ბევრია ავტორიტარული რეჟიმი, რომელთა საგარეო კურსი იმდენად არასტაბილურია, რომ აშშ-ს უჭირს აქ გრძელვადიანი პარტნიორის პოვნა. ამერიკელი პოლიტიკოსები, უპირველეს ყოვლისა კი - ბუშის ადმინიტრაციის ნეოკონსერვატორები, აცნობიერებენ, რომ ნებისმიერ ტირანს ყველაზე მეტად პირადი ძალაუფლება აინტერესებს; შესაძლებელია, შეერთებული შტატების რომელიმე დღევანდელმა მოკავშირემ, ძალაუფლების შესანარჩუნებლად, ხვალ რადიკალურად შეცვალოს კურსი, მიემხროს აშშ-ს მტრებს.

რეგიონის ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმების ფონზე საქართველო მეტად იმედისმომცემად გამოიყურება; ჩანს, რომ ამ სახელმწიფოში მართლაც დიდია დემოკრატიული კონსოლიდაციის ალბათობა. ამიტომაც ამერიკელი პოლიტიკოსები მზად არიან, დაეხმარონ საქართველოს საგარეო და საშინაო სირთულეების დაძლევაში; სირთულე კი ბევრია: ურთიერთობა რუსეთთან, სახელმწიფოს ორგანიზაციული სისუსტე, კორუფცია, გამოწვეული 90-იანი წლების ე.წ. რეფორმების ხანაში მიღებული არასწორი კანონებით, კრიმინალური სიტუაცია. უნდა ითქვას, რომ შეერთებული შტატების დახმარებისა და მხარდაჭერის მიუხედავად,

გაგრძელება A2 გვერდზე

# ბექჰემი "რეალში" - ესპანური პრესის საახალწლო ხუმრობა



A6

REUTERS

დევიდ ბექჰემი

# "იტერასთან" ახალი შეთანხმება მზადდება

მაია ურუშაძე

*დღეიდან საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორი მუშაობის ჩვეულ, არასაზეიმო რეჟიმს დაუბრუნდა. ახალი წლის ღამე კი ენერგეტიკოსებმა მნიშვნელოვანი ავარიებისა და კატასტროფების გარეშე "გადააგორეს". ამაში მათ შედარებით თბილმა ამინდებმაც შეუწყო ხელი. საქართველოს გაერთიანებულმა ენერგოსისტემამ ყველა ენერგოკომპანიის ელექტრომომარაგება მოახერხა. თუმცა, ახალ წელს ექსცესების გარეშე მაინც არ ჩაუვლია. 31 დეკემბრის ღამეს ელექტროენერგიის გარეშე საკმაოდ დიდხანს დარჩა კახეთის მოსახლეობის მცირე ნაწილი. დენის ხანმოკლე გამორთვები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც დაფიქსირდა.*

გაგრძელება A2 გვერდზე

# 2002 წელი: „კრიმინალური სიტუაცია მძიმე იყო, მაგრამ - მართვადი"

ინგა ალავიძე

*2002 წლის შეჯამება გვინდა. უფრო სწორად გვსურს, შევაფასოთ, როგორი სამართლით იცხოვრა შარშან საქართველომ. გვინდა ის მნიშვნელოვანი მოვლენები გავიხსენოთ, გასული წლის სამართლებრივ ორბიტაზე რომ "დატრიალდა" და ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ კლიმატს თავისი დაღი დაასვა.*

2002 წელს პირველი სკანდალი საქართველოს სამართლებრივ ცხოვრებაში მაშინ ატყდა, როცა უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ მთავრობის სხდომაზე ღიად ისაუბრა პანკისის ხეობაში არსებულ სიტუაციაზე და ამით ერთგვარად გზა გაუხსნა საქართველოში "ამერიკელთა შემოსვლას".

სხვათა შორის, გასული წლის მოვლენებიდან ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა ამერიკელთა ანტიტერორისტული პროგრამის ამოქმედება იყო- პროგრამა ქართველი რეინჯერების გამოწვრთნის შესახებ.

გაგრძელება A4 გვერდზე

# აშშ და რუსეთი ერაყში უსისხლო გადატრიალებას გეგმავენ

რევაზ ბახტაძე

*ვაშინგტონისა და მოსკოვის მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო უსაფრთხოების ახალი სისტემის ჩამოყალიბებაზე მიუთითებს, რაც პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაზეც აისახება*

საინფორმაციო სააგენტო "როიტერმა" ირანულ გაზეთ "ენტეხაბზე" დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ შეერთებულ შტატებს სადამ ჰუსეინის ხელისუფლებიდან ჩამოშორება სისხლისღვრისა და სპარსეთის ყურეში მრავალმილიარდიანი ომის გარეშე სურს.

ირანული გაზეთის ცნობით, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი თავის ირანელ კოლეგას ტელეფონით ელაპარაკა და პირად საუბარში განუცხადა, რომ შეერთებულ შტატებს ერაყში უსისხლო გადატრიალების მოწყობა სურს რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის დახმარებით.

"ხმა გავარდა, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იოშკა ფიშერმა ქამალ ხარაზისთან (ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი) სატელეფონო

გაგრძელება A4 გვერდზე


A2 ინფორმაცია A3 რეკლამა A4 ინფორმაცია A5 კულტურა A6 სპორტი A7 განცხადებები A8 სხვადასხვა

## მოკლედ

**ბერლინი.** გერმანელები აღშფოთებულნი არიან გადასახადების განუწყვეტელი ზრდით და ორიგინალური საშობაო საჩუქარი მოუმზადეს კანცლერ შრიოდერს, რომელმაც თავისი მმართველობის პერიოდში ქვეყანაში 50 ახალი გადასახადი შემოიღო.

ყოველდღე კანცლერის სახელზე მიდის 1000-ზე მეტი პერანგი დაახლოებით ასეთი შინაარსის ტექსტის თანხლებით: „პატივცემულო ბატონო ფედერალურო კანცლერო, ძვირფასო ამხანაგო გერჰარდ! გისურვებ ბედნიერ შობას და გიგზავნი ჩემს უკანასკნელ პერანგს, რათა გადასახადები მეტად აღარ გაზარდო, ჩემგან მეტს ველარაფერს წაიღებ. გიგზავნი, აგრეთვე, ჩემი ბავშვების პერანგებსაც, რათა მათაც თავიანთი წვლილი შეიტანონ ქვეყნის კეთილდღეობის განმტკიცებაში".

ამ აქციამ საყოველთაო, ეროვნული ხასიათი მიიღო. ბერლინში, კანცლერის სახელზე უკვე ათი ათასზე მეტი „უკანასკნელი პერანგი" გაგზავნეს. **.მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეიდან დედაქალაქის ენერგომომარაგება ახალ წლამდე არსებულ რეჟიმში ჩადგება და საქართველო კვლავ 1200 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიას მიიღებს.

ახალი წლისთვის საქართველოს, ძირითადად, რუსეთიდან და სომხეთიდან მიეწოდებოდა 1500 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგია, აქედან მარტო თბილისს - 550 მეგავატი.

2002 წელს, 2001 წელთან შედარებით, საქართველოს 7 პროცენტით მეტი ელექტროენერგია მიეწოდებოდა. მოხდა თურქეთისა და აზერბაიჯანის ძველი ვალების გასტუმრება. **"ინტერ-პრესი"**

# ისინი ჩვენს საახალწლო განწყობაზე ზრუნავდნენ

ნინო ნარჩემაშვილი

ახალი წლის ღამეს ახალი იმედები იბადება და ადამიანები ახალი, უფრო უკეთესი ცხოვრებისთვის ემზადებიან. ყველამ იცის, რომ მთელი ღამე იქნება დენი და გაზი, ცუდად თუ კარგად მაინც იმუშავებს ტელეფონი. ადამიანები კი, რომლებიც ამას უზრუნველყოფენ, თავიანთ სამუშაო ადგილებზე ხვდებიან ახალი წლის შემობრძანებას. სამწუხაროდ, საქართველოში მათთვის არანაირი სოციალური, მორალური თუ ფინანსური წახალისება გათვალისწინებული არ არის და მათ ეს საახალწლო ღამეც ისევე გაატარეს, როგორც ჩვეულებრივი, რიგითი სამუშაო მორიგეობა.

**"ეს ბედისწერაა. რატომღაც, უკვე მეორე წელია, ჩვენი ბრიგადა ზედიზედ ხვდება ახალ წელს სამსახურში,"** - ამბობენ "ეი-ი-ეს თელასის" სამორიგეოში.

**"ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩვენებურად მაინც აღვნიშნეთ ახალი წელი, მაგრამ ამდენ სატელეფონო ზარებში ჭიქის აწევა ძლივს მოვასწარით",** - სრულებითაც არ იყვნენ საახალწლო განწყობაზე ტელეკომუნიკატორები.

რა თქმა უნდა, ძნელია თავაუღებლად იმუშაო მაშინ, როცა ყველა ისვენებს და ზეიმობს. მადლობის მთქმელი მაინც რომ იყოს ვინმე, სხვა საქმეა.

ახალი წლის ღამეს ახალი იმედები იბადება.

ხელისუფლებაც გვაიმედებს, რომ ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მოწოდება მხოლოდ საახალწლო საჩუქარი არ იქნება.

იმედია, 2004 წლის სადღესასწაულო ზეიმისათვის მაინც აღარ დაიწერება საბავშვო ლექსი: **"... იყოს ქვეყნად მშვიდობა და გვქონდეს შუქი, გვქონდეს გაზი."**

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს – „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

საფოსტო ინდექსი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

## ეკონომიკა

# "იტერასთან" ახალი შეთანხმება მზადდება

პირველი გვერდიდან

**"ახალი წლის ღამეს ქვეყანაში ელექტროენერგიის მოხმარება 1560 მეგავატს აღწევდა** (ჩვეულებრივ დღეებში ეს მაჩვენებელი 1200-ს იშვიათად აჭარბებს). **ელექტროენერგია მოსახლეობას მსხვილ მომხმარებელთა (წარმოება-დაწესებულებების) შეზღუდვის ხარჯზე მივაწოდეთ. შეზღუდული იყო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ისვენებდა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაც,"** – გვაცნობა "საქართველოს გაერთიანებული ენერგოკომპანიის" გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბეგიაშვილმა. მისი ინფორმაციით, ახალი წლის დღეებში უწყვეტად ხდებოდა ელექტროენერგიის იმპორტი რუსეთიდან და სომხეთიდან. თავად საქართველოს ენერგოსისტემაში კი დამატებითი სიმძლავრის მოძიება ენგურჰესზე კიდევ ერთი აგრეგატის ამოქმედების შედეგად მოხერხდა.

სამაგიეროდ, მცირე პრობლემები იყო თბილისის გაზმომარაგებაში. როგორც "თბილგაზიდან" გვაცნობეს, გაზის წნევის ვარდნის გამო 2 იანვარს ავტომატურად გამოირთო გაზგამანაწილებელი პუნქტი, რამაც ვაკის რაიონისთვის გაზის მიწოდების შეწყვეტა გამოიწვია. ამჟამად ქალაქს გაზი შეუფერხებლად მიეწოდება, თუმცა გაზის საფასურის გადახდის საკითხი დღის წესრიგში კვლავ ძველებური სიმწვავით დგას. ახლოვდება დეკემბრის თვის დავალიანების გადახდის ვადა – 15 იანვარი, თანხები კი, ჯერჯერობით, მობილიზებული არ არის. შეგახსენებთ, რომ თანხის ნაწილი უნდა დაფაროს მერიამ, ნაწილი – ცენტრალურმა ბიუჯეტმა, ნაწილი – თავად "თბილგაზმა". **რაც შეეხება პირდაპირ ხელშეკრულებას "იტერასთან,"** როგორც ამ კომპანიის წარმომადგენელი საქართველოში თამაზ პატარიძე აცხადებს: "იგი **"თბილგაზთან", სავარაუდოდ, მომავალ კვირაში გაფორმდება."**



გაერთიანებული ენერგოსისტემის ცენტრალური სადისპეტჩერო.

# ჩამოფასებული ახალი წელი

პირველი გვერდიდან

ალბათ, პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელებს აქვთ გამოცხადებული. ამ მაღაზიებში ორიგინალური პროდუქცია 20-50 პროცენტიანი ფასდაკლებით იყიდება. თუმცა, პროდუქციის დიდი ნაწილი, მაღალპროცენტიანი გაიაფების მიუხედავად, მაინც საკმაოდ ძნელად ხელმისაწვდომია ჩვეულებრივი მომხმარებლისთვის. ალბათ, ამის გამოა, რომ აღნიშნული მაღაზიები მომხმარებლისთვის დამატებითი სტიმულის მისაცემად წამახალისებელ ლატარიასაც ათამაშებენ.

ამ ფონზე შედარებით მოკრძალებულად გამოიყურება ტანსაცმლის მაღაზიები მათ მომხმარებლისთვის 20-40 პროცენტით გააიაფეს საქონელი. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ თბილისურ მოდურ მაღაზიებსა და ბუტიკებში სეზონურ ტანსაცმელსა და აქსესუარებს საკმაოდ მაღალი ფასები ადევს, ეს ფასდაკლება უმნიშვნელოდაც შეიძლება მივიჩნიოთ.

ასევეა ელექტროსაქონელზეც. ცნობილი უცხოური ფირმების დისტრიბუტორთა ან, უბრალოდ, მათი საქონლით მოვაჭრე მაღაზიებში ფასდაკლება საყოფაცხოვრებო ტექნიკის სახეობების მიხედვით იშვიათად აღემატება 5-20 პროცენტს. მაღაზიათა მეპატრონეები საახალწლო ვაჭრობის "ფავორიტებად" ტელევიზორებსა და მობილურ ტელეფონებს ასახელებენ და ამიტომ ამ საქონელზე ფასდაკლებაც შედარებით უმნიშვნელოა. ერთი და იმავე ფირმის ტელევიზორების ფასები თბილისის სხვადასხვა მაღაზიებში საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან; თუმცა, ეს განსხვავება არც ისე მნიშვნელოვანია რეალური მყიდველისთვის, რომელსაც 54-სანტიმეტრიანი დიაგონალის (საშუალო ზომის) მქონე ტელევიზორისთვის დაახლოებით 600-699 ლარის გადახდა მოუწევს. დიაგონალთან ერთად, ცხადია, იზრდება ფასებიც. თბილისის მაღაზიებში გასაყიდად გამოტანილი ყველაზე დიდეკრანიანი ტელევიზორები 9999 და 12.000 ლარი ღირს. არის გამონაკლისებიც ანუ ისეთი მაღაზიები, რომლებიც მარკის პრესტიჟულობიდან გამომდინარე ფასდაკლებებს, პრაქტიკულად, არასდროს აცხადებენ. მიუხედავად ამისა, გაყიდვების მოცულობას ისინი არ უჩივიან და სიამოვნებით მიგითითებენ მაღაზიის თაროებზე, რომელთაგან ბევრი უკვე დაცარიელებულია, ზოგზე კი ამა თუ იმ მოდელის 2002 წლის პარტიიდან უკანასკნელი ცალიღაა შემორჩენილი.

უმნიშვნელოდ აკლებენ ფასს მობილურ ტელეფონებსაც. რაც უფრო ძვირადღირებულია მოდელი, მით უფრო უმნიშვნელოდ იაფდება იგი. მიუხედავად იმისა, რომ იგივე საქონლის შეძენა ბაზრობაზეც არის შესაძლებელი, თანაც გაცილებით იაფად, ბევრი საქონლის შეძენას მაინც მაღაზიაში ამჯობინებს, რითაც თურქული და ტაივანური პატენტების "შეტყუებისგან" იცავს თავს და თანაც ფირმისგან ერთწლიან გარანტიასაც იღებს.

ის ფაქტი, რომ მოსახლეობა ელექტროსაქონელში სიამოვნებით ხარჯავს ფულს (თანაც, მილიონებს) სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოკვლევითაც დასტურდება. გამოკვლევის შედეგების თანახმად, 2001 წელს, საქართველოში შეიძინეს 100 ათას ცალამდე მობილური ტელეფონი, რისთვისაც დაახლოებით 7.3 მილიონი დოლარი დაიხარჯა. 2002 წლის პირველ ნახევარში, ქვეყანაში გაიყიდა 32.4 ათასი ტელევიზორი. მნიშვნელოვანია, რომ მობილური ტელეფონებისა და ტელევიზორების იმპორტში მეტად მაღალია კონტრაბანდის წილი. იმავე გამოკვლევის მიხედვით, საქართველოში შემოტანილი მობილური ტელეფონებისა და ტელევიზორების რეალური რაოდენობა თითქმის სამჯერ, ზოგადად ელექტროსაქონლისა კი – ორჯერ აღემატება ოფიციალურად დაფიქსირებულ იმპორტს.

## პოლიტიკა

# ვაშინგტონს აინტერესებს: საქართველო პრობლემაა თუ პარტნიორი?

პირველი გვერდიდან

საქართველოს მთავრობამ ბოლომდე ვერ დაძლია ყველა ეს სირთულე; აშშ-ს მთავრობაში ბევრს აღარც კი სჯერა, რომ საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა, ან მთავრობასთან უშუალოდ ასოცირებული პიროვნებები, როდისმე გადაჭრიან ქვეყნის პრობლემებს. არადა, არც ისე დიდი ხნის წინათ, ყველა ელოდა, რომ საქართველოში გაიშლებოდა საკონსტიტუციო და დემოკრატიული პროცესები და ახლანდელი მთავრობა გადააბარებდა მართვის სადავეებს ახალ ლიდერებს - მათ, ვისაც შეთვისებული აქვთ თავისუფალი ბაზრისა და პოლიტიკური თავისუფლების იდეალები.

ძველი მმართველობიდან ახალზე გადასვლის პროცესის წარმატება მნიშვნელოვნად განისაზღვრება ერთი ფაქტორით: უკვე ათ წელიწადზე მეტია, პრეზიდენტი შევარდნაძე გვევლინება შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოსადმი მხარდაჭერის გარანტად. ხშირად საქართველოს ინტერესებს ვაშინგტონში იცავდა მხოლოდ მისი მეგობრების ჯგუფი. ზოგიერთნი, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის, ჯეიმს ბეიკერის მსგავსად, საქართველოს მეგობრები გახდნენ სწორედ პრეზიდენტ შევარდნაძესთან ურთიერთობის შედეგად. სხვებისთვის პრეზიდენტთან მეგობრობა ასევე მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მათ სხვა ინტერესიც გააჩნდათ - მაგალითად, რუსეთთან დაპირისპირება (საუკეთესო მაგალითია ზბიგნევ ბჟეჟინსკი).

დღეს უკვე აშკარაა საქართველოს სტრეტეგიული როლი ამერიკის გრძელვადიან გეოპოლიტიკურ გეგმებში. ამავე დროს ისიც ცხადია, რომ თავად ამერიკაშიც საჭიროა საქართველოს ინტერესების დაცვა (მეტწილად, რუსეთის ზეწოლისგან). ბოლო ხანებში მრავალი პოლიტიკოსი დაინტერესდა საქართველოს საკითხით; მათ შორის გამოირჩევიან რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი მძლავრი ფრთის, ნეოკონსერვატორების წარმომადგენლები - ადამიანები, ვისაც სწამს, რომ აშშ აქტიურად უნდა მონაწილეობდეს სხვა ქვეყნების პრობლემების გადაწყვეტაში და საგარეო პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს გარკვეულ ფასეულობებს. ნეოკონსერვატორები ამტკიცებენ, რომ საგარეო პოლიტიკა, დამყარებული ავტორიტარული რეჟიმების მხარდაჭერაზე, ყოვლად წინდაუხედავი და არაამერიკულია; რომ ცდება ის, ვინც ლიბერალური დემოკრატიის პროპაგანდას აშშ-ს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად აცხადებს.

სწორედ ეს პოზიცია განსაზღვრავს პრეზიდენტ ბუშის ეროვნული უშიშროების სტრატეგიას და, როგორც ჩანს, თავად პრეზიდენტიც ემხრობა მას; თანდათან ეს პოზიცია პოპულარული ხდება ნეოკონსერვატორების ტრადიციულ ოპონენტთა შორისაც. ასე მაგალითად, პოლიტიკის დაგეგმარების სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა რიჩარდ ჰაასმა ახლახან განაცხადა, რომ ამერიკა აღარ არის დაინტერესებული "ჩაურევლობის ტაქტიკით" და დროა, ამერიკამ უბიძგოს არაბულ და მუსლიმურ სახლემწიფოებს დემოკრატული რეფორმების გატარებისაკენ. მსგავსი განცხადება მნიშვნელოვანი სიახლეა და ნეოკონსერვატორების უდავო გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს. ჰაასი (იუნაიტედ პრესის თანახმად) სწორედ ის კაცია, ვინც 1991 წელს **"ურჩია ახლანდელი პრეზიდენტის მამას, არ გაეგზავნა თავისი ჯარი ბაღდადში ერაყის რეჟიმის დასამხობად. სახელმწიფო დეპარტამენტში იგი მოუწოდებდა ირანთან თანამშრომლობისაკენ ავღანეთისა და ერაყის საკითხებში."** ცნობილი ნეოკონსერვატორის, გარი შმიტის თქმით, "ჰაასი, ახლო აღმოსავლეთის სტაბილურობის კურსის (რომლის მიზანია დროებითი სტაბილურობის მიღწევა, თუნდაც დემოკრატიის ხარჯზე) არქიტექტორი, დღეს დემოკრატიას მიიჩნევს ამ სტაბილურობის წინაპირობად - ეს უთუოდ სასიხარულო და სასიკეთო გარდასახვაა."

ნეოკონსერვატორები დღეს დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოსადმი და ეს გარემოება აძლევს ჩვენს ქვეყანას უნიკალურ შანსს, მოიპოვოს ახალი მხარდამჭერები შეერთებულ შტატებში და უფრო მჭიდრო კონტაქტები დაამყაროს ამერიკის წამყვან პოლიტიკოსებთან. ცხადია, ამგვარი მხარდაჭერა მოითხოვს საქართველოში დემოკრატიული გარდაქმნების ინტენსივობის გაზრდას, ასევე - შესაფერის ინიციატივას საქართველოს ოფიციალური პირების მხრიდან.

დეკემბრის დასაწყისში ვაშინგტონს ეწვია დავით გამყრელიძე; ვიზიტი მიზნად ისახავდა ნეოკონსერვატორებთან კონტაქტების გაღრმავებას, შეხვედრებს რესპუბლიკური პარტიის ამ ფრთის წარმომადგენლებთან. წამყვანი ნეოკონსერვატორების თქმით, გამყრელიძემ შეძლო თავისი პოზიციების წარმოჩენა და მრავალი ნეოკონსერვატორის დაინტერესება, რითაც დიდი სამსახური გაუწია თავის ქვეყანას. თითოეული ეს მოღვაწე შეიძლება ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი მეგობარი გახდეს, ეს კი საგრძნობლად გააღრმავებს აშშ-საქართველოს ურთიერთობებს.

ამასთან ერთად, ნეოკონსერვატორთა მხარდაჭერის ძირითადი პირობა არის საქართველოში დემოკრატიის პროპაგანდა. საქართველოს მთავრობის უკანასკნელ ნაბიჯებს ამერიკელი პოლიტიკოსები უარყოფითად აფასებენ, რადგანაც ვარაუდობენ, რომ მავანი ძალები მთავრობაში არც დემოკრატიული საარჩევნო პროცესების უზრუნველყოფაზე, არც სტაბილურობის დამყარებაზე ზრუნავენ. ამერიკელების უკმაყოფილებას იწვევს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის აღორძინება, პარტიისა, რომელიც ამაყად უწოდებს თავს "სახელმწიფო პარტიას" და რომლის ლიდერები ვერაფერს ხედავენ საძრახისს იმაში, რომ სახელმწიფო რესურსები გამოიყენება პარტიის მიზნების მისაღწევად. აშშ-ს ოფიციალურ წრეებს ასევე აწუხებთ კრიმინალური სიტუაცია საქართველოში, რომელიც საგრძნობლად გაუარესდა უკანასკნელ ხანებში - კრიმინალური ელემენტები გამოდიან ციხეებიდან და აწესებენ თავიანთ კონტროლს ლეგალურ ბიზნესზე. არანაკლებ დამაფიქრებელია სიტუაცია სამხედრო რეფორმების სფეროშიც - საქართველოს მთავრობამ ვერ შესძლო სათანადო ცვლილებების დანერგვა, ვერ შეამცირა ჯარი და ვერ გაზარდა თავდაცვის სექტორის ფინანსირება. ერთი სიტყვით, მთავრობა ვერ ატარებს საჭირო ღონისძიებებს, ხოლო ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი მოწადინებულია მოიპოვოს მოკლევადიანი პოლიტიკური წარმატება პოპულისტური დაპირებების ხარჯზე.

ყოველივე ზემოთქმული ნათელყოფს, რომ არსებული დამოკიდებულება საქართველოსადმი უთუოდ საჭიროებს გადასინჯვას – უნდა მოიძებნოს მთავრობაზე ზეგავლენის მეთოდები, რათა აღიკვეთოს სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლა ოპოზიციის წარმომადგენლებსა და კერძო ბიზნესზე. ამავე დროს, მოსალოდნელია, რომ ნეოკონსერვატორები, თავის მხრივ, აიძულებენ ბუშის ადმინისტრაციას, მეტი ყურადღება დაუთმოს საქართველოში დემოკრატიის განვითარებას და ნაკლებად შემწყნარებლად მოეკიდოს საქართველოს მთავრობის მოქმედებებს, რომლებიც ხელს უშლის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# იყავით ხაზზე!

## და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონე-ბი, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:

- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი;
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას;
- გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:
- კი –დარეკეთ ნომერზე 111**
- არა–დარეკეთ ნომერზე 222**

**ჯეოსელმა დაარსა მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდი?**

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.
გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:




# ჯეოსელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და აღმაშენებლის 146
ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

უცხოეთი

## აშშ და რუსეთი ერაყში უსისხლო გადატრიალებას გეგმავენ

პირველი გვერდიდან

საუბრისას აღნიშნა, რომ ამერიკა სადამ ჰუსეინის გადაგდებას ომის, სისხლისღვრისა და უზარმაზარი სამხედრო დანახარჯების გარეშე აპირებს", - წერს გაზეთი.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა, რომ ორმა მინისტრმა ტელეფონით ისაუბრა, მაგრამ მათი საუბრის შინაარსი არ დაუკონკრეტებია.

ირანის უზენაეს ლიდერ აიათოლა ალი ხამენეისთან დაახლოებული "ენტეხაბის" ცნობით, ვაშინგტონმა რუსეთთან თავისი პოლიტიკის შეთანხმება საბოლოოდ მოახერხა.

ირანულ გაზეთში მოყვანილია რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ევგენი პრიმაკოვის ცოტა ხნის წინ გაკეთებული განცხადება, რომ პუტინმა, შესაძლოა, ბაღდადი მოინახულოს, რათა სადამ ჰუსეინი დაარწმუნოს, რომ ხელისუფლება თავისი ნებით დატოვოს. ამ შემთხვევაში, პრიმაკოვის თქმით, პოლიტიკურ თავშესაფარს ჰუსეინს რუსეთი შესთავაზებს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ის პრესის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარს არ აკეთებს და არანაირ ინფორმაციას არ ფლობს ბაღდადში პუტინის შესაძლო ვიზიტის შესახებ.

"ენტეხაბის" პუბლიკაციის მიხედვით, შეერთებული შტატების ახალი გეგმა (ერაყის მომავალი მოწყობის შესახებ) კომპრომისულ ელემენტებს შეიცავს და მომავალ მთავრობაში ამჟამინდელი მმართველი პარტიის მონაწილეობასაც ითვალისწინებს.

"მომავალში ერაყი ფედერალური სახელმწიფო იქნება და "ბაათის" პარტია ხელისუფლებას მთლიანად არ ჩამოსცილდება", - აღნიშნავს გაზეთი.

თუმცა, ვაშინგტონი თავის დაზღვევას ცდილობს იმ შემთხვევისთვის, თუ სადამის მშვიდობიანი გზით მოშორება ვერ მოხერხდა. ახალი წლის დადგომისთანავე პენტაგონმა დამატებით 15.000 ჯარისკაცი გააგზავნა სპარსეთის ყურეში, რათა ერაყთან შესაძლო ომს საგულდაგულოდ მომზადებული შეხვდეს.

ეს სპარსეთის ყურეში გაგზავნილი ყველაზე დიდი სამხედრო შენაერთია მას შემდეგ, რაც აშშ-ს ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ერაყის წინააღმდეგ ომს დაიწყებს, თუ სადამ ჰუსეინი უშიშროების საბჭოს რეზოლუციას არ დაემორჩილება.

როგორი სცენარითაც არ უნდა განვითარდეს სპარსეთის ყურეში მოვლენები, თუ ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ერაყისნაირ სადავო საკითხზეც კი მსგავსი გარიგება შედგა, ეს იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა, პრაქტიკულად, უკვე ჩამოყალიბებულია, სადაც რუსეთი ამერიკის მოკავშირე იქნება. ამ თანამშრომლობას საფუძველი 11 სექტემბრის შემდეგ ჩაეყარა. ეს კი რუსეთის მეზობელმა სახელმწიფოებმა საგარეო-პოლიტიკური გათვლებისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ.

ახალ ვითარებას დსთ-ს წევრი სახელმწიფოებისთვის ორგვარი მნიშვნელობა აქვს; ერთი მხრივ, ვაშინგტონთან დაახლოებული რუსეთი, სავარაუდოდ, ნაკლებ აგრესიული იქნება იმ სახელმწიფოების მიმართ, სადაც ვაშინგტონს გამოკვეთილი ინტერესები გააჩნია და მათ ამერიკასთან თანამშრომლობას საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად აღარ აღიქვამს. მეორე მხრივ, დსთ-ს სახელმწიფოებს ამერიკა-რუსეთის დაპირისპირების საკუთარი ეკონომიკური და უსაფრთხოების ინტერესებისათვის გამოყენება გაუჭირდებათ, რასაც მანამდე ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა მეთაურები ხშირად აკეთებდნენ. რეგიონის ლიდერები საგარეო ან შიდა პოლიტიკური ვითარების გართულებისას ხან მოსკოვს ეკეკლუცებოდნენ, ხან - ვაშინგტონს და საჭირო ფინანსურ და სამხედრო დახმარებასაც ღებულობდნენ.

ახლა ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოებს უფრო კომპლექსური და თანამიმდევრული საგარეო პოლიტიკის გატარება მოუწევთ, რათა უამრავი შიდა და საგარეო საფრთხის წინაშე მდგომნი, სასიცოცხლო მნიშვნელობის საგარეო მხარდაჭერის გარეშე არ დარჩნენ.

## 2003 წელს კოსმოსში პირველი ჩინელი კოსმონავტი გაფრინდება

ჩინეთის ხელისუფლებამ კოსმოსში პირველი ჩინელი კოსმონავტის გაშვების გეგმა გამოაქვეყნა. ოფიციალური პეკინის განცხადება მას შემდეგ გაკეთდა, რაც ცნობილი გახდა ჩინური უპილოტო ხომალდის ორბიტაზე წარმატებით გასვლის შესახებ. კოსმოსური ხომალდი "შენჩჟოუ" (რაც "ღვთაებრივ ხომალდს" ნიშნავს) გობის უდაბნოში მდებარე კოსმოდრომიდან კოსმოსში გასულ ორშაბათს გაუშვეს. ჩინეთის ისტორიაში ეს ორბიტაზე გასული მეოთხე ჩინური რაკეტაა. როგორც ცნობილი გახდა, უკვე რამდენიმე თვეში კოსმოსში გავა "ღვთაებრივი ხომალდი – 5," რომლის ბორტზეც პირველი ჩინელი კოსმონავტი იქნება.

მთელი დანარჩენი მსოფლიოსთვის "კოსმოსში შეჯიბრი" დაახლოებით 30 წლის წინ დასრულდა, მაგრამ ამას ჩინეთის ენთუზიაზმზე გავლენა არ მოუხდენია. საკუთარი კოსმონავტების ყოლას დიდი სახელმწიფოები კვლავინდებურად ეროვნული პრესტიჟის საქმედ მიიჩნევენ. ამ კვირაში ჩინეთის პრეზიდენტმა ძიან ძემინმა საცდელი კოსმოსური ხომალდის გაშვებას დიდი ეროვნული გამარჯვება უწოდა. ჩინეთის ლიდერმა ქვეყნის მეცნიერებსა და ინჟინრებს წარმატება მიულოცა და მუშაობის ძველებური შემართებით გაგრძელებისკენ მოუწოდა.

ჩინეთის სახელმწიფო აეროკოსმოსური სააგენტოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩინეთის ხელისუფლებას საკმაოდ მასშტაბური გეგმები აქვს. მთავრობა უახლოეს მომავალში პლანეტა მარსზე მასშტაბური კვლევითი სამუშაოების დაწყებას და კოსმოსში მუდმივმოქმედი ორბიტალური სადგურის შექმნას აპირებს. ჩინეთის მთავრობის ოფიციალურ დოკუმენტებში საუბარია პეკინის განზრახვაზე, რომ მას მსოფლიოს კოსმოსური განვითარების საქმეში დიდი წვლილის შეტანა სურს.

გარდა ამისა, პეკინის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ კოსმოსის ათვისება ჩინეთის ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

მოკლედ, ჩინეთი 2003 წელს ახალი კოსმიური გეგმებითა და ინიციატივებით იწყებს. როგორც შანხაიში მდებარე აეროკოსმოსური ცენტრის ხელმძღვანელმა იუან ძემ განაცხადა, პირველი ჩინელი კოსმონავტი კოსმოსურ ორბიტაზე 2003 წლის მეორე ნახევარში გავა.

## 2003 წელს ბრაზილია ახალი პრეზიდენტით იწყებს

2003 წლის 1 იანვარს ბრაზილიის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია შედგა. ღარიბთა წრიდან გამოსულმა ლუის იგნასიო ლულა და სილვამ სამხრეთ ამერიკის უდიდესი ქვეყნის პირველი პირის პოსტი ჩაიბარა. ის ხალხში ლულას სახელით არის ცნობილი და ბრაზილიის საშუალო და ღატაკ ფენებში უდიდესი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობს.

ბრაზილიის დედაქალაქში, მისი ინაუგურაციის ცერემონიალზე ათიათასობით ბრაზილიელი შეიკრიბა. ზეიმი მასობრივი სეირნობით დასრულდა, რომელშიც 150 ათასმა ბრაზილიელმა მიიღო მონაწილეობა.

ლულა უკანასკნელი 40 წლის მანძილზე პირველი ბრაზილიელი ლიდერია, რომელსაც მემარცხენე შეხედულებების მიმდევრად მიიჩნევენ. ლათინური ამერიკის ქვეყნებში კი მემარცხენე ლიდერები ყოველთვის უფრო პოპულარულები არიან, თვით ისეთი დამანგრეველნიც კი, როგორიც იყო პერონი არგენტინაში და უგო ჩავესი ვენესუელაში.

ლულამ 2002 წლის ოქტომბერში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 61 პროცენტის მიღება შეძლო. სააგენტო "ბი-ბი-სი"-ს ცნობით, მისი ინაუგურაციის ცერემონია ძალზე წააგავდა ნახევარი წლის წინ გამართულ საყოველთაო სახალხო ზეიმს, როდესაც ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის თასი მოიპოვა. **"დღევანდელი დღე სამუდამოდ დარჩება ისტორიაში. ჩვენ, ღარიბ ბრაზილიელებს, ეს დღე სამუდამოდ გვემახსოვრება,"** - განაცხადა ბრაზილიის ერთ-ერთი სოფლიდან ჩამოსულმა მოქალაქემ, რომელიც ქვეყნის დედაქალაქს სპეციალურად ინაუგურაციის დღისთვის ეწვია.

ლულა ხალხს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამოსწორებას და ნორმალურ ცხოვრებას ჰპირდება, თუმცა, ანალიტიკოსთა აზრით, ახალ პრეზიდენტს ამ მიზნების განხორციელება ძალზე გაუჭირდება. თავად ახალი პრეზიდენტიც აღიარებს, რომ მომავალი წელი საკმაოდ რთული და მძიმე იქნება. მან თავის მოქალაქეებს განუცხადა, რომ პირველივე წლებში საკუთარი დანაპირების მთლიანად შესრულებას ვერ შეძლებს.

საზოგადოება

# ახალი წელი, მოხუცები, ბავშვები

*ახალი წლის მოსვლა ყველაზე მეტად ბავშვებს და მოხუცებს უხარიათ, რასაკვირველია, ძირითადად - პატარების ხათრით. ოჯახებში, სადაც ყველაფერი რიგზეა, ყველაზე უმრწემესები და ყველაზე უხნესები ამ დღეს ერთმანეთის გართობას ცდილობენ - საშუალო თაობას მათთვის არ სცალია, ფუსფუსებს, ფეხებში არ უნდა გაებლანდო... მაგრამ არიან ბავშვები და მოხუცები, რომელთათვისაც ყველაფერი სხვაგვარადაა.*

მაკა ჯაიანი



*"სავანეში"*



*"მომავლის სახლში"*

ფოტო ბესო გულაშვილის

### "სავანე"

ზამთარია და მოხუცთა პანსიონატ "სავანეში" საშინლად ცივა. რკინა-ბეტონის ნაგებობა, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს საჩვენებელი სახლის პრეტენზიით აშენდა, ადვილად ვერ გათბება. უზარმაზარი ჰოლი, გრძელი დერეფნები... სახლს ქალაქის მერია აფინანსებს და მისი ბიუჯეტი მთელი შენობის გათბობას ვერ სწვდება. საბედნიეროდ, ოთახებია პატარა - ვიწრო შესასვლელი, მცირე ფართობი... ერთი ელექტროქურა ყინვას ტეხს, მეტს ვერ ახერხებს, მაგრამ ესეც საქმეა.

დღეს "სავანეში" 70 მოხუცი ცხოვრობს. წელიწადის ამ დროს, წლები მათ უფრო ეტყობათ - ავადმყოფობენ, საწოლებს ძნელად ელევიან. მიუხედავად ამისა, უყურადღებოდ არც ერთ დღესასწაულს არ ტოვებენ - ეს ხომ კიდევ ერთი განსაკუთრებული დღეა მათ ცხოვრებაში, კიდევ ერთი ზეიმი, რომელსაც მოესწრნენ. შედარებით ბედნიერები ამ დღეს ახლობლებს ოჯახებში მიჰყავთ. დანარჩენები თავს იმით ინუგეშებენ, რომ პანსიონატში სხვებიც რჩებიან.

წლევანდელ ახალ წელს "სავანეს" ბინადარნი საწოლებში შეხვდნენ. გამათბობელი გაყინულ დარბაზს ვერ მოერია და მოხუცებმა ოთახებს მიაშურეს. მეორე დღეს კი, 2003 წლის პირველ იანვარს, ისინი რამდენიმე პოლიტიკურმა და არასამთავრობო ორგანიზაციამ ინახულა. პანსიონატში იმ დღეს საკრებულოს ახალი თავმჯდომარის სტუმრობასაც ელოდნენ, მაგრამ - ამაოდ. დაგვპირდა და რატომ დაგვაღალატაო,- წუხდნენ, თურმე, მოხუცები.

ეს იქაურმა პერსონალმა გვითხრა. თავად მოხუცებს ვერ დაველაპარაკეთ. ბედობის დღე იყო, პანსიონატის ხელმძღვანელი ადგილზე არ გახლდათ, მკაცრი მითითება კი - მისი დასტურის გარეშე უცხოების ვიზიტები არ შემდგარიყო, ვერავინ დაარღვია. მხოლოდ ერთ ბებოს მოვკარით თვალი შენობიდან გამოსვლისას. ის-ის იყო, ტელეფონზე საუბარი დაასრულა. ჩემი დისშვილი იყო, წელიწადია არ მინახავსო, - ცრემლნარევი თვალებით უთხრა კარისკაცს.

ნეტა, ახალი წლის დადგომისას რა ისურვა?

### "მომავლის სახლი"

აქაც ცივა. აქაც ზამთარია და აქაურობაც საბიუჯეტო დაფინანსებაზეა. თუ ვინმე ეხმარება "მომავლის სახლს" ისევ უცხოელები. ახალ წელიც ინგლისის საელჩომ მიულოცა თავშესაფარში მცხოვრებ ბავშვებს. ისინი 60-ნი არიან. საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები - პატრონიანები და უპატრონოები, სულ პატარები და უკვე შელერებულები. მათ საძინებელ ოთახებში ყინავს. აქ ყველა თბილი საბნების იმედადაა. ღვთის წყალობით, ისინი აქვთ.

თითოეული ბავშვი "მომავლის სახლში" თითო სარომანე ისტორიაა. 13 წლის შორენა, მაგალითად, დედამ მალაზიაში გირაოში დატოვა, მერე გოგონა თბილისში ჩამოიყვანეს. სხვა სახლებშიც ვიყავი, მაგრამ არ მაჩერებდნენ, ვიგინებოდიო, - ამბობს თავად. რთული ბავშვია, - ამბობენ უფროსები. ცოტა ხნის წინათ მასწავლებელს ხელზე უკბინა, - ხაჭაპურს არ მაძლევდაო... სამი და და სამი ძმა ჰყავს. გორში ცხოვრობენ, ბებიასა და ბაბუასთან. თუ ენატრება? არ იცის.

"მომავლის სახლში" არიან ბავშვები, რომლებიც ქუჩაში "სავსე წარსულიდან" აღმოჩნდნენ. პატარა ლილის სამი თვე განათლების სამინისტროს ეზოში ეძინა. როცა თავშესაფარში მიიყვანეს, ყველა გაოცდა. ეტყობოდა, რომ კარგი ოჯახის შვილი, კარგად აღზრდილი ბავშვი იყო, მაგრამ ამდენი ხანია აქ არის და არავის მოუკითხავს, ისიც არ ვიცით, წარმოშობით საიდან არისო, - წუხან "სახლში". ლილის მეგობრებს თავიანთი ისტორია აქვთ და ასე შემდეგ.

ამ ახალ წელს მათ ყველას გემრიელი სუფრა და ინგლისური საჩუქრები ჰქონდათ. ჰქონდათ ნაძვისხეც, ჭერიც თავზე, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც არ იყო...

**"ბავშვებმა გაათენეს კიდეც,** - ჰყვება 14 წლის დათო კერესელიძე, - **ვიქეიფეთ კიდეც. ჭამაზე კი არ არის საქმე - კარგი დრო გავატარეთ. სურვილიც ჩავუთქვით. ჩემი სურვილია, ჩემი ოჯახი ისევ შეერთდეს, ისევ ერთად ვიყოთ და ბედნიერად. სურვილი მაქვს, რომ ეს ბავშვები ასეთები აღარ იყვნენ, უფრო კარგები, ლამაზები და ჭკვიანები გახდნენ, ისევ თავიანთ ოჯახებში იცხოვრონ. კარგად ცხოვრობდნენ - საჭმელი არ აკლდეთ, სასმელი და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ალერსი და სითბო."**

დათო ექვსი თვის იყო, დედამ რომ მიატოვა. ახლა მას სხვა ოჯახი და სამი ქალიშვილი ჰყავს. ზრდიდნენ მამა და ბებია. ესეც ჩემი სახლია და ისიც, ბოლნისში რომ მაქვსო, - ამბობს დათო და კიდევ ერთ სურვილს გვიმხელს: **"როცა გავიზრდები - ჯერ ცხოვრება წინაა - მინდა, ოთხი შვილი მყავდეს, ორი გოგო და ორი ბიჭი. ოჯახში მინდა იყოს სითბო და ალერსი. მინდა, კარგად ვიყოთ, არ გვიჭირდეს. არავის უჭირდეს."**

ამბობენ, როცა რაღაც ძალიან გინდა, აუცილებლად ასრულდებაო.

სამართალი

# 2002 წელი: „კრიმინალური სიტუაცია მძიმე იყო, მაგრამ - მართვადი"

პირველი გვერდიდან

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველმა ძალოვანებმა "ბერმუდის სამკუთხედად" ქცეული პანკისის ხეობის ძირითადი ნაწილის გასუფთავება შეძლეს. მართალია, ხეობას თავშეფარებული მსხვილი კრიმინალების მოხელთება ვერ მოახერხეს, მაგრამ ის მაინც გააკეთეს, რომ მანამდე გაუკონტროლებელი ზონა ქართველ სამართალდამცველთა იურისდიქციას დაუმორჩილეს, გახსნილი ბლოკ-საგუშაგოებით ბოლომდე გავიდნენ და ხეობა გაამაგრეს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ძალოვანებმა ბობოლა კრიმინალების დაპატიმრება ვერ შეძლეს. თუ რატომ, დასკვნის გაკეთება მათივე საუბრებიდან შეიძლება. "ესენი არიან კარგად ორგანიზებული, დიდ კავშირებზე გასული დანაშაულებრივი ჯგუფები, რომელთაც გავლენიანი მფარველები ჰყავთ," – ამ არგუმენტით იმართლებენ თავს ძალოვანები, რომლებმაც თითქმის ვერც ერთი გახმაურებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოახერხეს.

"მამა ბასილი პანკისის ხეობაშია. ის ცოცხალია, ჯანმრთელადაა და რამდენიმე დღეში ჩატარდება მისი გათავისუფლების ოპერაცია," – მამა ბასილ მაჩიტაძის შესახებ ძალოვანები ასეთ პირობას დღეგამოშვებით დებდნენ, მაგრამ გატაცებული, უკვე წელიწადნახევარია, მაინც ტყვეობაშია.

მართალია, წელიწადნახევრის წინ გატაცებული ლევან კალაძის სახელი ხეობაში მიმდინარე ანტიკრიმინალურ ოპერაციასთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ მისი გათავისუფლების შესახებაც არაერთხელ დაიდო პირობა. "ლევან კალაძე ცოცხალია, ჯანმრთელადაა და მის გასათავისუფლებლად მიმდინარეობს ოპერატიულ-საგამოძიებო სამუშაოები," – ასეთია კანონდამცველთა ყოველდღიური შეტყობინება.

კვლავ არაფერია ცნობილი რამდენიმე თვის წინ წყნეთიდან გატაცებული ყოფილი პოლიციელისა და "მხედრიონელის" 14 წლის ქალიშვილზე – სალომე გოგინაშვილზე. პოლიცია კი, ტრადიციისამებრ, იმედს იტოვებს, რომ გოგონა უახლოეს დღეებში (შესაძლოა, დღესაც) იქნას გათავისუფლებული.

უცნობია ცხინვალი-ავლევის გზაზე გატაცებული ვიცე-პოლკოვნიკის ზურაბ დურგლიშვილის ბედი.

ქუთაისის ავტოქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ამირან ნაცვლიშვილის გატაცებიდან თვეზე მეტი გავიდა. თუმცა, მისი გატაცების რეალური მიზეზები დღემდე უცნობია

საქართველოს კრიმინალურ იმიჯზე გასულ წელსაც ალაპარაკდა მსოფლიო. თბილისში პოლიციელებს თვალწინ ააცალეს "აგრობიზნესბანკის" ინგლისელი გენერალური დირექტორი. გამტაცებლებმა დანაშაული ჩაიდინეს პოლიციელთა თანდასწრებით, ლამის მათი დახმარებით. ტყვეობიდან 141 დღის თავზე, 6 ნოემბერს, ღამის 12-ის ნახევარზე მძევალყოფილი შოუ ძალოვანთა გაძლიერებულმა კორტეჟმა თბილისში შემოიყვანა. შს და უშიშროების მინისტრები დღესაც პირობას დებენ, რომ ძველ ტრადიციას დაარღვევენ და შოუს გამტაცებლებს დაიჭერენ. კანონდამცველთა "მუნდირის ღირსების" საქმედ უნდა ქცეულიყო იმის დადგენაც, სად გაქრა ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი მილიონიანი დახმარებები. როგორც ჩანს, სამწუხაროდ, ვერც ამას შევიტყობთ როდესმე.

ტრაგიკულად დასრულდა "ლუკოილის" ვიცე-პრეზიდენტის მამის გატაცება. ძალოვანებმა დადებული პირობა, რომ მძევალს დაიხსნიდნენ, ვერ შეასრულეს. გატაცებულის ძებნიდან ერთი კვირის თავზე კანონდამცველებმა 77 წლის სადი შარიფოვის ცხედარს ბოლნისი-დმანისის გზაზე, ხევში მიაგნეს. სამაგიეროდ, შსს-მ ოპერატიულად მომდევნო დღეებში იმოქმედა - გამტაცებელთა დაკავებას ფართომასშტაბიანი სპეცოპერაციები მიუძღვნა. დაკავებით კი დააკავეს, მაგრამ ნამდვილი გამტაცებლები? – ეს კითხვა ახლაც აწუხებს საზოგადოების ნაწილს.

ფაქტობრივად, გაუხსნელია ნატახტრის საგუშაგოზე დაკავებული იარაღის საქმეც. პოლიციელებმა 300 ათასი დოლარის ღირებულების იარაღი, უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი სიმონ მჭედლიძე და მანქანაში მასთან ერთად მყოფი რუსეთის მოქალაქე, ვინმე არტურ ლუდკოვი დააპატიმრეს. ითქვა, რომ იარაღი შავი სამყაროს ავტორიტეტს შაქრო კალაშოვს ეკუთვნოდა. საბოლოოდ, სკანდალით დაწყებული საქმის ძიება ძალიან გასაიდუმლოებულ ვითარებაში დასრულდა. კალაშოვთან სტუმრად მყოფი კანონიერი ქურდი ლუდკოვი ქართველმა ძალოვანებმა პატიმრობიდან უჩუმრად გაათავისუფლეს და რუსეთში გააპარეს. დარჩა მჭედლიძე, რომელსაც, სავარაუდოდ, სასამართლო პირობით სასჯელს არგუნებს. საქმე კი, ტრადიციულად მიფუჩეჩდა. "კალაშოვის იარაღის" სახელით ცნობილმა საქმემ კიდევ ერთხელ ცხადყო, საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ყველაზე დიდი ავტორიტეტები კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტები არიან.

კიდევ ერთი სკანდალი, რუსეთის კანონდამცველებისა და პოლიტიკური წრეების მიერ ატეხილი აჟიოტაჟი დღესაც არ განელებულა. საუბარია, ქართველი ძალოვანების მიერ საზღვრის უკანონო გადმოკვეთისა და იარაღის უკანონო ტარებისთვის დაკავებული 13 ჩეჩენის გადაცემაზე. პუტინის მუქარის შემდეგ და კიშინიოვის სამიტის წინ 5 ჩეჩენს ორთაჭალის ციხე დაატოვებინეს. ისინი რუსეთს საიდუმლო ვითარებაში და ექსტრადიციის იურიდიული ნორმების დარღვევით გადასცეს. გენერალური პროკურატურის თანხმობა პოლიტიკურ გადაწყვეტილებად იქნა მიჩნეული და კითხვა - იყო თუ არა ბრალდებულთა გადაცემა კანონიერი აქტი? – საზოგადოების ნაწილისთვის დღესაც აქტუალურია.

ალბათ, ვერასდროს გახდება ცნობილი, თუ რატომ მოკლეს "ეი-ი-ეს თელასის" მენეჯერი ნიკა ლომინაძე; ვინ იყო კახი ასათიანის შეკვეთილი მკვლელობის ავტორი. "თუ კახი ასათიანის მკვლელობა დღეს, ცხელ კვალზე არ გაიხსნება, ჩათვალეთ, რომ იგი ვეღარასოდეს გაიხსნება," – ასეთ ვარაუდს მოისმენდით კანონდამცველებისგან შემთხვევის საღამოს. კახი ასათიანის მკვლელობა გაუხსნელია დღესაც, და სავარაუდოდ, გახსნის პერსპექტივა არც მომავალში ჩანს.

მიუხედავად იმისა, რომ დაპატიმრებულია მკვლელობაში ბრალდებული, მაინც უცნობია, თუ რა მოტივით მოკლეს პარლამენტარ ლევან პირველის პირადი დაცვის უფროსი გიორგი რჩეულიშვილი. ერთი ვერსიით, გიორგი რჩეულიშვილი (სამი წლის წინ რესტორან "თამარიონში" მომხდარი ნიკა უჩანეიშვილის მკვლელობის თვითმხილველი მოწმე) კვალის გაქრობის მიზნით მოკლეს დაინტერესებულმა პირებმა. მით უმეტეს, რომ ახალი დადგენილება – უჩანეიშვილის მკვლელობის საქმის შეწყვეტის შესახებ -რჩეულიშვილის მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე გამოიტანა გენერალურმა პროკურატურამ.

2002 წელს საქართველომ თავი "ისახელა" ადამიანის გატაცებებითა და კიდევ იმით, რომ აქ უცხოელ დიპლომატებსა და სტუმრებს თავს ესხმოდნენ, ძარცვავდნენ, კლავდნენ... იმით, რომ მოდად ქცეული კრიმინალის კიდევ ერთი სახეობა – მანქანის გატაცება და მისი კონფლიქტის ზონაში გასაყიდად გადაყვანა - პოლიციელთა თვალწინ ხდება. იმითაც, რომ დანაშაულებრივი სამყაროს რისხვის ობიექტები ძალოვანებიც ხდებიან – გახშირდა პოლიციელთა მძევლად აყვანის შემთხვევები. მათი მკვლელობის, ძარცვის ფაქტები...

აი, ასეთი იყო გასული წლის კრიმინალური ქრონიკა იმ ქვეყანაში, რომლის ძალოვანებიც აღიარებენ: "ქვეყანაში კრიმინალური სიტუაცია მძიმეა, მაგრამ მართვადი..."



# ახალი წელი მსოფლიოს გარშემო


REUTERS
ახალი წელი რიოში გრანდიოზული ფეიერვერკით აღინიშნა


REUTERS
ნიდერლანდელი სანტა-კლაუსი


REUTERS
რომში ასეთი საახალწლო ტრადიციაა

რუსები ამტკიცებენ, რომ მსოფლიოში ყველაზე მაღალი ნაძვისხე პეტერბურგში იდგა. შესაძლოა, ეს ასეც იყო, ოღონდ გადატანითი მნიშვნელობით – მათ ნაძვისხის ფუნქციები 321 მეტრი სიმაღლის სატელევიზიო ანძას მიანიჭეს.

ყველაზე კაშკაშა ახალი წელი სიდნეიში დადგა. ასეთი გრანდიოზული ფეიერვერკი ავსტრალიელებს ოლიმპიადის დროსაც არ უნახავთ. ახალ წელს ქუჩაში 700 ათასი კაცი შეხვდა. 31 დეკემბრის ღამე ათასფეროვანმა შუქებმა ისე გაანათა, რომ ირგვლივ აღარაფერი ჩანდა. საახალწლო ფეიერვერკებით რიოელებმაც ისიამოვნეს. ქალაქში დიდხანს იღვრებოდა ულამაზესი ფერები, რაც ისედაც ბუნებით მხიარულ ბრაზილიელებს მოლხენის მეტ საბაბს აძლევდა.

რაც არ უნდა საოცარი იყოს ტაიმს სკვერზე შეკრებილ ნიუ-იორკელებს ტერაქტის არ ეშინოდათ. 31 დეკემბერს მათ უსაფრთხოებას იცავდა ათობით ათასი პოლიციელი, სახლების სახურავებზე ჩასაფრებული სნაიპერები და რამდენიმე ვერტმფრენი, რომლებიც დრო და დრო ცაში პატრულირებდნენ. "როიტერსის" ცნობით, მანჰეტენზე კაშკაშა ბურთის სანახავად 750 ათასი კაცი შეიკრიბა. პოლიციამ თითოეული მათგანი შეამოწმა. ახალი წლის დადგომამდე ერთი წუთით ადრე დარჩენილი დროის დათვლა მსახიობმა კრისტოფერ რივმა და მისმა მეუღლემ დანამ დაიწყეს. პარალელურად ძირს დაეშვა 2 დიამეტრიანი ფაიფურის ბურთი, რომელიც, თავის მხრივ, "დიდი ვაშლის" – ნიუ-იორკის სიმბოლოა.

ახალი წელი მხიარულად დადგა ევროპაშიც. ბრანდებურგის კარიბჭესთან 700 ათასი შეიკრიბა. ცაში 2 ათასამდე რაკეტა გაუშვეს, რის შემდეგაც ღია ცის ქვეშ საახალწლო კონცერტი გაიმართა. პარიზელებმა ტრადიციას არც წელს უღალატეს და ელისეს მინდვრებზე სეირნობით 31 დეკემბრის ღამესაც იჯერეს გული. რომაელებმა ტიბრში ბანაობით იმხიარულეს. ეს საახალწლო ტრადიცია უკვე წლებია, რომში არსებობს. მდინარეში იტალიელები ჯერ ღვინოს ასხამენ და შემდეგ ხიდიდან ხტომაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. ჰოლანდიელების საახალწლო ტრაიდიცაც წყალთან არის დაკავშირებული, ოღონდ, გაცილებით უფრო ცივსა და გაყინულთან. სანტა კლაუსის ფერებში გამოწყობილმა ჰოლანდიელებმა წელსაც გაწირეს თავები და 1 იანვარს, საშინელ ყინვაში ჩრდილოეთის ზღვაში შეცურეს.

ტრადიციებით სავსე ევროპაში ძველი წეს-ჩვეულებების დაცვა მხოლოდ ლონდონელებმა ვერ შეძლეს: ტრაფალგარის სკვერი სარესტავრაციოდ დახურეს და ინგლისელებიც მხოლოდ საახალწლო აღლუმს დასჯერდნენ. თუმცა, დროის მხიარულად გატარება მაინც შეძლეს. მასხარები, საკარნავალო ფორმებში გამოწყობილი მსახიობები სადღესასწაულო განწყობის შესაქმნელად ყველაფერს აკეთებდნენ.

ოდნავ უჩვეულო ახალი წელი დადგა ესპანეთში, კერძოდ კი გალიციაში. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ნავთობით დაბინძურებული რეგიონის გასაწმენდად გალიციაში ჩასული მოხალისეების შრომა დააფასეს და მათ მდიდრული საახალწლო ვახშამი მოუზმადეს, თავისი ცეკვებითა და გართობით.


REUTERS
ბიგ ბენმა ბრიტანელებს 2003 წლის დადგომა ამცნო

# უმოკლესი გზა მსოფლიო მოდის ბიზნესში

## Fashion TV-ის საქართველოში ოფიციალური წარმომადგენლობა ჰყავს

ვერა ნეფარიძე

ყველაზე პრესტიჟულმა და ავტორიტეტულმა მოდის ტელეარხმა ამიერკავკასიაში საკუთარი ოფიციალური წარმომადგენლობა დაამტკიცა. პირველი ღონისძიება, რომელიც ამ წარმომადგენლობის შუამდგომლობით, PR სააგენტო "ეტერამ" fashion tv-თან სათანამშრომლოდ მოაწყო, 31 დეკემბერს რესტორან "ბერიკონში" გაიმართა.

ფრანგული მოდის სატელევიზიო არხის ftv-ის წარმომადგენლობა კავკასიის თანამედროვე ხელოვნების ცენტრის ბაზაზე გაიხსნა. ცენტრს ამავე არხმა ოფიციალური წარმომადგენლობის სტატუსი მიანიჭა.

"წლების განმავლობაში ქართულ კულტურაში იქმნებოდა ვაკუუმი, რომელმაც მთლიანად მოწყვიტა ის იმ ჩვეულ რითმსა და კულტურულ ფასეულობებს, რომლითაც დღეს ცხოვრობს დასავლეთი. მოიშალა ურთიერთობების, კონტაქტების, ერთობლივი შემოქმედებითი პროექტების მთელი სტრუქტურა, ქართველი ახალგაზრდობის თაობები იზრდებიან იზოლირებულ გარემოში, თავისივე ქვეყანაში ტყვეებად", - ზოგადი მდგომარეობის ასეთი ანალიზით კავკასიის თანამედროვე ხელოვნების ცენტრი ორი წლის წინათ ჩამოყალიბდა. ამ ხნის განმავლობაში ცენტრმა რამდენიმე fashion ღონისძიება გამართა, მათ შორის იყო შარშანწინ "შერატონ-მეტეხი პალასში" გამართული ამიერკავკასიელი დიზაინერების ნამუშევართა ჩვენება, რომელსაც ftv-ის მმართველი დირექტორი ფრანსუა ტილიეც დაესწრო.

ოფიციალური წარმომადგენლობის ფუნქციებში რამდენიმე სერვისი შედის. მათ შორისაა სერიოზული ფასდაკლებები მათთვის, ვისაც საკუთარი პროდუქციის წარმოჩენა სწორედ ამ პრესტიჟულ სატელევიზიო არხზე სურს; წარმომადგენლობას ევალება რეგიონში არხის საავტორო უფლებებისა და ლიცენზიის დაცვაც; სწორედ ეს წარმომადგენლობა ამიერკავკასიელ დიზაინერებსა თუ მოდელებს ftv-ის სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობას მათთვის საგანგებო ფასებში შესთავაზებს. ერთი სიტყვით, რა საჭიროა ძვირის გადახდა და დამატებითი გზების ძიება მოდის მსოფლიო ბიზნესში ჩასართავად მაშინ, როდესაც შესაძლებელია ცივილური გზებით უკეთესი შედეგების მიღწევა. ამ ეტაპზე ცენტრის ხელმძღვანელები, ლადო ბურდული, გიორგი ჟორჟოლიანი და თეა მაქაცარია ცდილობენ საკუთარი საქმიანობის საიმედოობაში დაარწმუნონ კავკასიელი პარტნიორები.



ლადო ბურდული - FTV-ის ოფიციალური წარმომადგენელი კავკასიაში

# "წიქარას" საახალწლო საჩუქარი

ნანა ბასილაშვილი

რკინიგზელთა კულტურის სახლში 2002 წლის ბოლო კონცერტი გამართა ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა "წიქარამ". პატარებმა ძველი წელიწადი თავიანთი პირველი სოლო კონცერტით გააცილეს.

კონცერტის ორგანიზატორებმა ოცამდე პატარა მომღერალს სიურპრიზი მოუწყვეს - საღამოს წამყვანად, ბავშვებში ძალზედ პოპულარული, გოგიჩა - დათო გოგიჩაიშვილი მოიწვიეს. მონაწილეთა მშობლები და ნათესავები კონცერტის დაწყებას დიდი მღელვარებით ელოდნენ. ამასობაში პატარები კულისებიდან ხშირხშირად იჭყიტებოდნენ და ნაცნობ სახეებს ეძებდნენ. სცენაზე გოგიჩას გამოჩენას ყველა სიხარულით შეეგება. როგორც იქნა, ცეცხლი აინთო და თამაში, უფრო სწორად, კონცერტი დაიწყო.

ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ პატარების სითამამემ მაინც გამაკვირვა. სცენაზე ისინი პროფესიონალი მომღერლებივით იქცეოდნენ. არადა, ეს მათი პირველი სოლო კონცერტი იყო. "წიქარამ" 20 ნომერი წარმოადგინა. მაკა მარნაძე, გვანცა კახუაშვილი, ლაშა ანთაძე, ნინო ბარაძე და სხვები მაია ჭელიძისა და ზურა ჩინჩალაძის სიმღერებს სიყვარულზე, თბილისზე, ზღაპრებზე და ყვავილებზე დიდი მონდომებით ასრულებდნენ. ყველაზე პრობლემურ და აქტუალურ თემას ანსამბლის ყველაზე პატარა წევრის, 7 წლის გიორგი ქუმსიაშვილის ნამღერი ეძღვნებოდა, - საკუთარი ხელებით არ გავწყვიტოთ სიცოცხლის ძაფიო, - მღეროდა იგი. აღსანიშნავი და მისასალმებელია, რომ პატარებმა ყველა ნომერი ცოცხლად შეასრულეს.

"ჯგუფური თუ სოლო ნომრები ბავშვებმა უფონოგრამოდ, ცოცხლად იმღერეს, რაც ძალიან მეამაყება. უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ, მითუმეტეს, რომ ძალიან ბევრი სიმღერა პირველად შესრულდა. ეს იყო ჩვენი საახალწლო საჩუქარი", - აღნიშნა ანსამბლის ხელმძღვანელმა, მაია ჭელიძემ.

მომავალი კონცერტისთვის მზადებას "წიქარა" ზამთრის არდადაგების შემდეგ შეუდგება. მეორე კონცერტზე ისინი სიმღერებს საკუთარი აკომპონიმენტითაც შეასრულებენ.


ანსამბლი "წიქარა" სცენაზე

## სინემა

### კინოთეატრი „ამირანი„

### „ჰარი პოტერი 2: საიდუმლო ოთახი„

აშშ. 2002 წელი


კადრი კინოფილმიდან

Harry Potter and the Chamber of secrets

რეჟისორი: **კრის კოლამბუსი**

მთავარ როლებში: **დენიელ რედკლიფი, რუპერტ გრინი, ემა უოტსონი, მეგი სმიტი**

დღესდღეობით პატარა ჯადოქარი ბიჭის – ჰარი პოტერის თავგადასავალებმა, დიდიან-პატარიანად ყველა გაიტაცა. მართლაც, საოცარია, თითქოს საბავშვო და ჩვეულებრივი ზღაპრები როგორ გადაიქცა საკულტო ნაწარმოებად. თუმცა, ჩემი აზრით, პოტერომანიას გარკვეული ახსნა მაინც მოეძებნება.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ფართო საზოგადოებაში ძალიან დიდი იყო ინტერესი კოსმოსისადმი, რასაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის სარაკეტო პროგრამებმა დაუდო საფუძველი. იმ დროის მას-კულტურაში მტკიცედ იყო დამკვიდრებული სამცენიერო ფანტასტიკა, რომლის სიუჟეტებშიც კოსმოსური ბრძოლები და გალაქტიკური იმპერიები დომინირებდნენ. ამ გატაცების მწვერვალად, თამამად შეიძლება ჩაითვალოს ჯორჯ ლუკასის ხუთნაწილიანი ფილმი-ეპოპეა "ვარსკვლავეთის ომები". მისი პოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ ინგლისში მოსახლეობის აღწერის დროს, გამოკითხულთა დაახლოებით ათმა პროცენტმა რელიგიის გრაფაში თავის რწმენად "ჯედაების კულტი" გამოაცხადა. ნაკლებად გათვიცნობიერებულ მკითხველს შევახსენებ, რომ "ვარსკვლავეთის ომებში" ჯედაები ნახევრად საიდუმლო, მისტიკური კასტის წარმომადგენლები არიან.

ბოლო, მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან, ფართო მასებში – კოსმოსური თემებისადმი ინტერესი თითქმის გაქრა და საზოგადოებამ თავისი ყურადღება ირაციონალურისკენ – მისტიკურისკენ მიმართა. სამეცნიერო ფანტასტიკის ადგილი, ე.წ. "ფენტეზიმ" დაიკავა. ამ ჟანრში მაგია ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია. "ჰარი პოტერიც" ამ ჟანრს განეკუთვნება.

ჰარი პოტერის შესახებ წიგნები ისე სწრაფად და დიდი რაოდენობით იყიდებოდა, რომ არავის გაჰკვირვებია, როდესაც ჰოლივუდში ჯადოქარ ბიჭუნაზე ფილმების გადაღება გადაწყვიტეს და უკვე მეორე ფილმის პრემიერაც შედგა. სასიხარულოა, რომ პრემიერა საქართველოსა და აშშ-ში ერთ დღეს გაიმართა.

"ჰარი პოტერი 2: საიდუმლო ოთახი" კვლავაც მაგიის სკოლაში დატრიალებულ მოვლენებზე მოგვითხრობს. ფილმში იმდენი სპეცეფექტია გამოყენებული, რომ ორსაათნახევრის განმავლობაში მისი ყურება, ცოტა დამღლელიც კი არის. სურათში ყველაფერი ზღაპრული და არაჩვეულებრივია. სულ თავისუფლად შეიძლება ხე გაგიბრაზდეს და ცემა დაგიპიროს. ადამიანები კი მოჩვენებებთან ისე საუბრობენ, ვითომც არაფერიაო. ელფებზე, გნომებზე და სხვა ზღაპრულ გმირებზე, ხომ აღარაფერს ვამბობ. ისინი ამ ფილმის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ. მთლიანობაში ეს კინოსურათი სასიამოვნო საყურებელია და ალბათ ყველა უფროსი თაობის მაყურებელს ბავშვობას გაახსენებს, როდესაც თოვლის ბაბუებისა თუ ალქაჯების სჯეროდა.

*არჩილ მელიქიშვილი*

## კალენდარი

### 3 იანვარი



მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ მამაკაცთა რეიტინგში ერთ-ერთი პირველი ადგილი მელ გიბსონს უკავია, მის გამოჩენაზე ქალები ჭკუას კარგავენ. რა თქმა უნდა, გიბსონი ჰოლივუდის მრავალრიცხოვან ვარსკვლავთა შორის მარტო თავისი გარეგნობით არ გამოირჩევა, გიბსონი ნამდვილი სუპერვასრკვლავია.

მიუხედავად იმისა, რომ გიბსონი ნიუ-იორკში დაიბადა, ის მაინც ავსტრალიელ მსახიობად ითვლება და დღემდე ავსტრალიური აქცენტით ლაპარაკობს. 12 წლის იყო, მისი ოჯახი ავსტრალიაში რომ გადასახლდა: მამას უნდოდა, ვაჟებისთვის ვიეტნამის ომი თავიდან აეცილებინა.

სხვათა შორის, თავის დროზე გიბსონების მრავალშვილიანი ოჯახის (გიბსონებს 11 შვილი ჰყავდათ) მეექვსე ვაჟს მსახიობობა გულშიც კი არ გაუვლია. ის ჟურნალისტობაზე ოცნებობდა და თვითონაც არ იცოდა, რატომ ჩააბარა სიდნეის დრამატული ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში. ახალგაზრდა მელ გიბსონს სცენის პანიკურად ეშინოდა. პირველ სპექტაკლში ისე ნერვიულობდა, რომ ფეხზე ვერ დგებოდა და თავისი პირველი როლი სკამზე დამჯდარმა ითამაშა.

მელ გიბსონის კინოდებიუტი 1976 წელს შედგა ფილმში "ზაფხულის ქალაქი" (Summer City). მერე სამხრეთ ავსტრალიის თეატრალურ კომპანიასთან დადო კონტრაქტი და მთელ რიგ ფილმებში ითამაშა; მაგრამ მისი განსაკუთრებული წარმატება რეჟისორ ჯორჯ მილერის სახელთან იყო დაკავშირებული, ფილმში "შეშლილი მაქსი" (Mad Max) გიბსონმა მთავარი როლი შეასრულა. ეს იყო ავსტრალიის უდიდესი კომერციული პროექტი, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფილმის პოპულარობა ავსტრალიის ფარგლებს დიდად არ გასცილებია. სამაგიეროდ, მისმა გაგრძელებამ "გზის მებრძოლი" (The Road Warrior, 1981), მსოფლიო აღიარება ხვდა წილად და გიბსონი ნამდვილი ვარსკვლავი გახდა. მისი პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდა ომის თემაზე შექმნილი ცნობილი ფილმით Gallipolli.

გიბსონის კარიერაში ახალი ეტაპი ძეფირელის "ჰამლეტით" დაიწყო, სადაც ავსტრალიელმა მსახიობმა მელანქოლიური, მსოფლიო სევდით შეპყრობილი დანიელი პრინცი ითამაშა. ეს იყო 1990 წელს. სამი წლის შემდეგ "ჰამლეტს" გიბსონის სარეჟისორო დებიუტი მოჰყვა – "უსახო კაცი" (The Man Without A Face). ორი წლის მერე კი კინოეკრანებს მოევლინა "მამაცი გული" (Braveheart) - გიბსონის პროდუსერული, რეჟისორული და სამსახიობო ნამუშევარი. "მამაცი გულისთვის" მელ გიბსონმა ორი ოსკარი მოიპოვა, საუკეთესო რეჟისურისა და მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

ძნელად თუ მოიძებნება ვარსკვლავი, რომელიც ისეთი ერთგული იყოს თავისი ოჯახისა, როგორც მელ გიბსონია. გადაღებების დროს მას ყოველთვის თან დაჰყავს მეუღლე და შვიდი შვილი, დასვენების დღეებს კი ოჯახურთან ერთად ავსტრალიაში, საკუთარ რანჩოში ატარებს.

გიბსონმა ბედნიერების საკუთარი რეცეპტიც შეიმუშავა, რომელიც ამ საახალწლო განწყობას ნამდვილად შეეფერება: "ამ ცხოვრებაში ბედნიერების შენარჩუნების ერთადერთი გზა არსებობს: ნუ სწუხართ მომავალზე და ნუ მისტირით წარსულს."

დღეს **მელ გიბსონის** დაბადების დღეა. მას 47 წელი შეუსრულდა. პოპულარული მსახიობი, რეჟისორი და პროდუსერი 1956 წლის 3 იანვარს დაიბადა.

*კალათბურთი*

## სტეფანია სასწაულებს ახდენს




*ვლადიმერ სტეფანია*

**NBA რეგულარული ჩემპიონატი. ოთხშაბათი:** *ატლანტა - მაიამი 73:107, ნიუ-იორკ ნიქსი - ტორონტო 95:75.*

NBA ახალ წელსაც აქტიურია და ამ აქტიურობის შედეგად ვლადიმერ სტეფანიას "მაიამი ჰიტმა" უკანასკნელ 7 შეხვედრაში მეექვსე გამარჯვება იზეიმა, თანაც - იმდენად შთამბეჭდავი, რომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მაიამელთა მწვრთნელი, პატ რაილი მატჩის შემდეგ სასიამოვნოდ გაოცებული დარჩა. "ბიჭებმა საახალწლოდ ნამდვილი საჩუქარი მომიძღვნეს. ახალ წელს ამაზე უკეთესად ვერავინ მომილოცავდა," - თქვა პატ რაილიმ.

ამ საახალწლო საჩუქრის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი კი ქართველი ვლადიმერ სტეფანია იყო, რომელმაც ამ შეხვედრაში შესანიშნავი თამაში აჩვენა და ერთ მატჩში მიღწეული შედეგიანობით და ჩაჭრების რაოდენობით სეზონის პირადი რეკორდი დაამყარა. ქართველმა გიგანტმა მოედანზე 27 წუთი დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში 16 ქულა, 13 მოხსნა, 4 ჩაჭრა, 2 გადაცემა და 1 ბლოკ-შოტი (დაფარება) განახორციელა. როგორც ჩანს, ქართველი კალათბურთელი "მაიამის" შემადგენლობაში მყარად დაიმკვიდრებს ადგილს, ვინაიდან მისი ასეთ თამაში აღარავის უკვირს.

ამ მატჩის ფონზე მეორე საახალწლო შეხვედრა "ნიუ-იორკ ნიქსსა" და "ტორონტო რეპტორზს" შორის ქართველი გულშემატკივრისთვის ნაკლებად საინტერესოა, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ 5-მატჩიანი გასვლითი ტურნე "ტორონტო რეპტორზის" სრული კრახით დასრულდა. კანადელებმა ყველა შეხვედრა წააგეს. მათ წინაშე უკანასკნელი ბარიერი "მედისონ სკვერ გარდენში" აღიმართა, სადაც ტორონტოელები უკვე მეოთხე მატჩს ვერ იგებენ.

რაც შეეხება ნიკა ცქიტიშვილს, მისი "დენვერ ნაგეთსი" საახალწლოდ ისვენებდა.

*ფორმულა 1*

## მიხაელ შუმახერი - ჩემპიონთა ჩემპიონი

ფრანგული გაზეთ "ეკიპის" მკითხველები, ზედიზედ უკვე მეორე წელია, ფორმულა 1-ის გერმანელ პილოტს, მიხაელ შუმახერს ჩემპიონთა შორის ყველაზე სახელოვან სპორტსმენად აღიარებენ. სიმბოლურია, რომ გერმანელმა თავისი მეხუთე საჩემპიონო ტიტული სწორედ საფრანგეთის გრან-პრიზე მოიგო და ამ მაჩვენებლით ლეგენდარულ არგენტინელ ხუან-მანუელ ფანხიოს გაუტოლდა.

144 ქულით შუმახერმა ხორვატ სამთო-მოთხილამურე იანიცა კოსტელიჩსა და ბრაზილიელ ფეხბურთელ რობერტო კარლოსს აჯობა. გერმანელმა ეს ჯილდო 2001 წელსაც მოიგო. 2000 წელს კი "ეკიპის" რჩეული ტაიგერ ვუდსი იყო. 1999 წელს - ანდრე აგასი. 1998 - ზინედინ ზიდანი. ამ ჯილდოს არსებობის ისტორიის მანძილზე შუმახერამდე ავტოსპორტის მხოლოდ ერთ წარმომადგენელს ჰქონდა პატივი "ეკიპის" რჩეული გამხდარიყო. დიდმა აირტონ სენამ ეს ტიტული 1990 წელს მოიპოვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩემპიონთა ჩემპიონად არჩევის პატივი მხოლოდ ერთ ქალბატონს ერგო - სახელგანთქმულ ამერიკელ მორბენალს, ფლორენს გრიფით-ჯოინერს.

*დაიჯესტი*

## ბატისტუტას ისევ არგენტინელი თუ შეცვლის

"რომას" არგენტინელი გოლეადორი კლუბს, სავარაუდოდ, იანვარშივე დატოვებს. მართალია, ბატისტუტას "რომასთან" კონტრაქტი ივნისამდე აკავშირებს, მაგრამ სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ "რომა" დათანხმდება ფეხბურთელის დროზე ადრე გაშვებას. ბატისტუტა კი რამდენიმე წინადადებას განიხილავს. მათ ახლა თურქეთის "ფენერბახჩეც" დაემატათ. თურქებმა არგენტინელ ფორვარდს წელიწადში 3 მილიონი დოლარი შესთავაზეს.

რაც შეეხება ბატისტუტას შემცვლელს, "რომას" ხელმძღვანელობამ სასურველი კანდიდატი ისევ არგენტინაში მოძებნა. "ინდეპენდიენტეს" ფორვარდის, ანდრეს სილვერას აგენტი უკვე მოლაპარაკებებს წარმართავს "რომას" წარმომადგენლებთან. რომაელები კი ვარაუდობენ, რომ სილვერა, რომელიც არგენტინის ბოლო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ბატისტუტას შეცვლას ღირსეულად შეძლებს. "ინდეპენდიენტეს" პრეზიდენტი, რომელიც სილვერაზე უფლებათა პაკეტის 25 პროცენტს ფლობს, აცხადებს, რომ იტალიელთა მხრიდან ოფიციალური წინადადება კლუბს ჯერჯერობით არ მიუღია.

## სატრანსფერო დერეფანი ინგლისში

### პრემიერლიგაში ახალი ჭორების ქარი უბერავს

ერთი კლუბიდან მეორეში შესაძლო გადასვლის თემა ინგლისის საფეხბურთო წრეებში ყველაზე აქტუალურია. პრემიერლიგის გუნდებისთვის სატრანსფერო დერეფანი პირველ იანვარს გაიხსნა. ბრიტანული გამოცემები კი მკითხველს ყოველდღე აწვდიან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ცვლილება შეიძლება განხორციელდეს იანვრის თვეში, ვიდრე სატრანსფერო სეზონი ძალაშია. პრემიერლიგის სატიტულო სპონსორის Barclay Card-ის ოფიციალურ საიტზე გაჩნდა ინფორმაციები პოტენციურ შეთანხმებებზე.

"ნიუკასლ იუნაიტედი" მცველ ჯონათან ვუდგეიტით დაინტერესდა და ამის შესახებ "ლიდსთან" აწარმოებს მოლაპარაკებას. თუმცა, სერ ბობი რობსონისგან შეთავაზებული თანხა "ლიდსის" მწვრთნელ ტერი ვენეიბლზს ხელს არ აძლევს.

ფრანგული "ბორდოს" ფორვარდი და 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონი, კრისტოფ დიუგარი ახლოს არის იმ გადაწყვეტილებასთან, რომ ოფიციალურად გახდეს ინგლისის "ბირმინგემის" ფეხბურთელი.

"ტოტენჰემ ჰოტსპური" ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, მადრიდის "რეალს" წაჰგვაროს ესპანეთის ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდი - ფერნანდო მორიენტესი, რომელიც "სამეფო კლუბის" ძირითად შემადგენლობაში ამჟამად ვერ ხვდება.

ლონდონის "არსენალმა", რომელმაც, ტრავმის გამო, ერთბაშად ორივე სათადარიგო მეკარე - რამი შააბანი და სტიუარტ ტეილორი დაკარგა, თვალი დაადგა თურქეთის ნაკრებისა და სტამბულის "ფენერბახჩეს" მეკარეს - რუშთუს. არსენ ვენგერი მას დაბერებული დევიდ სიმენის შემცვლელად მიიჩნევს.

ამერიკული "კოლამბუს ქრიუს" ფეხბურთელი, ბრაინ მაკბრაიდი, შეიძლება, "ევერტონში" აღმოჩნდეს.

იტალიური "ემპოლის" ყოფილი ფეხბურთელი მასიმო მაკარონე, რომელიც ამჟამად "მიდლსბროს" ღირსებას იცავს, მზად არის იტალიაში დაბრუნდეს.

და ბოლოს, საიტზე გამოქვეყნებულია უკრაინის ნაკრების ფორვარდის, სერგეი რებროვის სიტყვები, რომელსაც ბოლო დროს თურქეთის "ფენერბახჩეში" გაშვებას უპირებენ. "მე თურქულ კლუბთან კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია. მდგომარეობა ჯერ მოლაპარაკების სტადიაშია. ულრმეს მადლობას მოვახსენებ "ფენერბახჩეს" ხელმძღვანელობას იმისთვის, რომ მათ ჩემი გუნდში ჩარიცხვის სურვილი გამოთქვეს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხანია, რაც სათამაშო პრაქტიკა მაკლია. მე მინდა ვითამაშო ისეთ გუნდში, სადაც მწვრთნელს ჩემი სჯერა და ძირითად შემადგენლობაში ადგილს მანდობს," - განაცხადა უკრაინელმა ფორვარდმა.

*საახალწლო კიდობანი*

# სპორტსმენები შინ და გარეთ

*ახალ წელს თითოეულ ოჯახს საკუთარი ტრადიცია აქვს. ერთნი ოჯახში ეგებებიან დამდეგ წელს, მეორენი მეგობრებთან, ზოგიც ქუჩაში...*
*როგორ შეხვდნენ 2003 წელს ქართველი სპორტსმენები, ვინ სად და როგორ აღნიშნა, ვგონებთ, მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს. ამის გასარკვევად რამდენიმე მათგანს შევეხმიანეთ კიდეც.*

გიგა გურასაშვილი



*გიორგი ასანიძე*



*ნინო სალუქვაძე*



*ბადრი ხასაია*

შესაბამისი კითხვა პასუხის შემდეგ თავადაც მიხვდებით რომ სპორტსმენებიც ისევე ეგებებიან ახალ წელს, როგორც სხვა დანარჩენნი. ამასთან, ეს უკანასკნელნი ძალზე მოკრძალებულნიც აღმოჩნდნენ.

**გიორგი ასანიძე** (ძალოსნობა)

რომ ვთქვა, რამე განსაკუთრებული ტრადიცია გვაქვსო ვერ ვიტყვი. მეც, ისევე როგორც უმეტესობა, ახალ წელს შინ ოჯახის წევრებთან ერთად აღვნიშნავ. ცოტას ჩვენც სპორტსმენებიც ვსვამთ, ვმხიარულებთ. თუ სტუმარი მოვა ამას რა ჯობია. ახალ წელს მაგალითად სტუმრად ჩემი ძველი მეგობარი ყოფილი ძალოსანი ხვიჩა ქობალია მესტუმრა და კარგადაც ვიმხიარულეთ".

**- 2003 წელს რას პირდები ქართველ გულშემატკივარს?**

- დანაკარგის ანაზღაურებას, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დაბრუნებას.

**ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა)

როგორც წესი, ჩვენც შინ ვეგებებით ახალ წელს, თუმცა წელს ასე არ ყოფილა. ბავშვები დასასვენებლად ლიკანში იყვნენ და მეც იქ ჩავედი, რათა მათთან ერთად აღმენიშნა 2003 წლის დადგომა. საინტერესო კი ის გახლდათ, 2002 წელი რომანოვების სასახლიდან გავაცილეთ. ამ მხრივ მართლაც უჩვეულო ახალი წელი იყო. უამრავ უცხო ადამიანს შორის უცბად გაება მეგობრული ჯაჭვი.

**- წელს რა გეგმები გაქვთ?**

- პირადად მე იმას გავაკეთებ რაც ჩემი გასაკეთებელია, დანარჩენებმა კი საკუთარი საქმე აკეთონ. ისე კი, მარტო მე ვერაფერს გავხდები საჭიროა რომ სპორტსმენებს მეტად ამოგვიდგნენ მხარში.

**მუხრან ვახტანგაძე** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)

ტრადიციის თანახმად მეგობრები ერთად ვიკრიბებით და ისე ვხვდებით ახალ წელს. წელსაც ასე იყო. ახალ წელს ბათუმში მეგობრებთან ერთად შევხვდი. ბედნიერი კაცი ვარ იმით რომ კარგი სამეგობრო მყავს.

**- 2003 წელს ქართველ გულშემატკივართან რა ვალდებულებას იღებ საკუთარ თავზე?**

- წელს, რაც არ გამიკეთებია ის უნდა გავაკეთო.

**ბადრი ხასაია** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)

ახალ წელს ტრადიციისამებრ ოჯახში შევხვდი. შემდეგ კი მეგობრებთანაც წავედი და მათთან ერთად გვიანობამდე დავყავი.

**- რითი იქნება განსხვავებული ახალი წელი შარშანდელისგან?**

მოგეხსენებათ, შარშან მსოფლიოს ჩემპიონატი ვერცხლის მედლით დავასრულე, წელს კი მისი "ოქროზე" გადაცვლა და, რა თქმა უნდა, ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვება მსურს.

**გიორგი ვაზაგაშვილი** (ძიუდო)

2003 წელი შინ გორში, ოჯახთან ერთად აღვნიშნე.

**- როგორ ფიქრობ, წელს მაინც გადაიჭრება შენი პრობლემა. რამე ცვლილება ხომ არ არის. ისევ საბერძნეთისკენ იყურები?**

- ახლა ვერაფერს ვიტყვი. ვნახოთ, რა და როგორ იქნება. ჯერჯერობით სხვებზე ვარ დამოკიდებული.

*ფეხბურთი*

# ბექჰემი "რეალში" - ესპანური პრესის საახალწლო ხუმრობა

აკა ტონია




*დევიდ ბექჰემი*

30 დეკემბრის ნომერში გაზეთი "24 საათი" იუწყებოდა, რომ გავრცელდა ინფორმაცია დევიდ ბექჰემის მადრიდის "რეალში" გადასვლის თაობაზე. მსგავსი ცნობები გაჩნდა რამდენიმე რუსულ ვებ-გვერდზე, იგივეს იუწყება სააგენტო "РИА Новости" და ესპანური ინტერნეტ-გაზეთი "Estrella Digital". "რეალისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" გარიგებას გვაცნობებდნენ ასევე ესპანური რადიო-სადგური "Cadena Ser" და ინგლისური ტელე-კომპანია "BBC".

სამაგიეროდ, "საიდუმლო" მოლაპარაკებების შესახებ არავითარი ცნობა არ გაუვრცელებია "რეალის" ვებ-გვერდს, გაზეთებს "Marca"-ს, "Mundo Deportivo"-ს, "As"-ს და სხვა ცნობილ გამოცემებს. დუმდა "მანჩესტერ იუნაიტედის" ვებ-გვერდიც. ინგლისელმა ჟურნალისტები კი საერთოდ ძალიან გაკვირვებულები დარჩნენ ესპანელი კოლეგების მიერ გავრცელებული ინფორმაციით და მიიჩნევენ, რომ ესპანელებს ის "ელანდებათ, რაც ესიზმრებათ". მაგრამ, ამ ყველაფრის მიზეზი ესპანელების სურვილზე მეტად ახალი წელი უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ უძველესი ესპანური ტრადიციის მიხედვით, ტყუილები და ოინები საახალწლო რიტუალის შემადგენელი ნაწილია. ამბობენ, რომ ეს ტრადიცია მივიწყებულია და უკანასკნელ ხანებში ასეთ ოინებს არ მიმართავენ. როგორც ჩანს, "Estrella Digital"-მა და "Cadena Ser"-მა ძველი წეს-ჩვეულებების აღდგენა გადაწყვიტეს, რაც საკმაოდ სარფიანი საქმეც აღმოჩნდა - ისინი ხომ უკანასკნელი ხანების ყველაზე დიდი საფეხბურთო სენსაციის ავტორები აღმოჩნდნენ.

გასულ დღეებში ჟურნალისტები შეეცადნენ, დაკავშირებოდნენ მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობას, თუმცა - უშედეგოდ. "რეალს" ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია, არც - "მანჩეტერს" და დღითიდღე ვრწმუნდებით, რომ საქმე მართლაც, უბრალოდ, ტყუილთან გვაქვს.

"მანჩესტერის" გულშემატკივრებს შეუძლიათ წყნარად იყვნენ – ბექჰემი "რეალში" არ გადავა, თუმცა ვინ იცის...

# სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი კარდოსოა, ზიდანი კი ევროპის

"El Pais"-ი სამხრეთ ამერიკისა და ევროპის კონტინენტების საუკეთესო ფეხბურთელებს, მწვრთნელებსა და სიმბოლურ ნაკრებ გუნდებს ასახელებს

აკა ტონია

2002 უკვე დასრულდა, მაგრამ სხვადასხვა სპორტული გამოცემები ჯერაც ადგენენ გასული წლის სიმბოლურ ნაკრებებს და ასახელებენ საუკეთესო ფეხბურთელებს, მწვრთნელებს და ა.შ.

საუკეთესოთა გამოვლენას ურუგვაული გაზეთი "El Pais"-იც შეეცადა. ეს გამოცემა უკვე 17 წლის მანძილზე ასახელებს გასული წლის საუკეთესო ფეხბურელს, მწვრთნელს და სიმბოლურ ნაკრებს, თანაც ამ ყველაფერს ცალ-ცალკე - ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში. წლევანდელ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 24-მა სამხრეთ ამერიკელმა ჟურნალისტმა, რომლებმაც კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელი, მწვრთნელი და სიმბოლური ნაკრები დაასახელეს. ევროპის "ოცნების გუნდი", საუკეთესო მოთამაშე და მწვრთნელი დაასახელა კონტინენტის 29 სპორტულმა ჟურნალისტმა. იმის გამო, რომ სიმბოლურ ნაკრებ გუნდებში მხოლოდ აღნიშნული კონტინენტის ქვეყნების კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელები სახელდება, ევროპელი ჟურნალისტების მიერ დასახელებული გვარები ბევრად უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე სამხრეთ ამერიკელთა მიერ დასახელებული. ევროპის სიმბოლურ ნაკრებს, შეგვიძლია, მსოფლიოს ნაკრებიც ვუწოდოთ - მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები ხომ, როგორც წესი, ევროპის კლუბებში თამაშობენ, მათ შორის - საუკეთესო სამხრეთ ამერიკელებიც.

ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად "El Pais"-ის გამოკითხვაში მონაწილე ჟურნალისტებმა, ზედიზედ მეორედ, ზინედინ ზიდანი დაასახელეს, მეორე ადგილი კი ასევე "რეალის" წევრს, ბრაზილიელ რობერტო კარლოსს მიაკუთვნეს. ევროპის საუკეთესო მწვრთნელად არსენალის ფრანგი თავკაცი, არსენ ვენგერი აღიარეს, მეორე ადგილზე "რეალის" მწვრთნელი, ვისენტე დელ ბოსკე გავიდა.

ევროპის სიმბოლურ ნაკრებში მადრიდის "რეალის" 4 ფეხბურთელი შევიდა, ისე კი, უმეტესად ბრაზილიელები და ფრანგები არიან. ალესანდრო ნესტას სახით ევროპის ნაკრებში მხოლოდ ერთი იტალიელია, რაული კი - ერთადერთი ესპანელი.

სამხრეთ ამერიკელმა ჟურნალისტებმა კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელად მექსიკის "ტულუკას" პარაგვაელი თავდამსხმელი, ხოსე სატურნინო კარდოსო დაასახელეს. ამ ნომინაციაში მეორე ადგილი ურუგვაელ ფეხბურთელს ერგო, ასუნსიონის "ოლიმპიას" წევრ სერხიო ორტემანს.

სამხრეთ ამერიკის საუკეთესო მწვრთნელად ბრაზილიის ნაკრების ყოფილი თავკაცი, მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის ტრიუმფატორი, ლუის ფელიპე სკოლარი დაასახელდა, ხოლო მეორე ადგილი "ოლიმპიას" არგენტინელ მწვრთნელს, ნერი პუმპიდოს ერგო.

სამხრეთ ამერიკის 2002 წლის სიმბოლური ნაკრები კი ასე გამოიყურება: სებასტიან საჰა (არგენტინა), ფრანსისკო არსე (პარაგვაი), გაბრიელ მილიტო (არგენტინა), ალეხანდრო ლემბო (ურუგვაი), სერხიო ორტემანი (ურუგვაი), კაკა (ბრაზილია), ფრედი გრისალესი (კოლუმბია), ანდრეს დე ალესანდრო (არგენტინა), მარსელო დელგადო (არგენტინა), ხოსე კარდოსო (პარაგვაი) და რუბინიო (ბრაზილია).



# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წაცვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## TV პროგრამა 3 იანვარი

### რუსთავი - 2

**07.00** მუსიკა
**07.30** მულტფილმი „ჯიმი ნეიტრონი: გენიოსი ბიჭუნა“
**08.55** მუსიკა
**09.15** მხ. ფილმი
**10.45** საბავშვო ფილმი „ბურატინოს თავგადასავალი“
**13.05** მხ. ფილმი „ვაგზალი ორისათვის“
**15.25** დოკუმენტური ფილმი „ფრინველები - მომთაბარე არსებები“
**16.25** მხ. ფილმი
**18.00, 21.00** კურიერი
**18.15** მუსიკა
**18.40** მხ. ფილმი „მე სემი ვარ“
**22.00** მხ. ფილმი „იმერული ესკიზები“
**23.00** მხ. ფილმი „განსხვავებული აზრი“
**01.30** კონცერტი: როჯერ ვოტერსი

### პირველი არხი

**08.15** მულტსერიალი „თოვლის პაპა“
**09.40** სატირკო სანახაობა
**10.40** საბავშვო კონცერტი
**11.10** მხ. ფილმი „რეკორდი“
**12.15** გილოცავთ „თელა“
**12.35** მღერის „კელაპტარი“
**13.20** მოკლემეტრაჟიანი მხ. ფილმი „საერთო კედელი“
**14.05** მხოლოდ კლასიკა
**15.15** თბილისი და თბილისელები
**15.45** მულტფილმი „ჩექმებიანი კატა“
**17.05** 50-50
**17.40** ტელესერიალი „ქილის წინ“
**18.00** ვესტნიკი
**18.20** გასტი-ბუზუ
**18.40** ენა დედაა ერისა
**19.05** ვიდეოპატრული
**19.20** ტელეთამაში „იმღერე რამე“
**20.00** მოამბე
**20.30** ბენი ჰილი
**21.00** „ჭინჭრაქა“
**21.30** კონცერტი - დ. ხუჯაძე
**22.30** დოკ. ფილმი „ჯაზ-ფესტივალი“
**23.10** ტელესერიალი „ქილის წინ“
**23.30** ქართ. მხ. ფილმი „გაჭედილები“
**01.10** კონცერტი „სტინგი“

### პირველი სტერეო

**10.00** ტოროლა
**13.00** ნონსტოპი
**17.00** ფილმი კომედია „ადამიანი - ობობა“
**19.00** ქართული მუსიკა
**19.30** ვიდეორადიო
**21.00** ჯადოსნური ღამე

**22.25** აბა გამოიცანი კინოობანა
**23.30** ინფორმატორი
**00.00** პაპარაცი
**00.15** ტელედისკოთეკა
**03.45** ფილმი ბრავო „ბოროტების სავანე“
**05.45** პაუზის გარეშე

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი
**19.30** მხ. ფილმი „ყვავილი თოვლზე“
**20.55** საქართველო არის ესე
**21.20** აფხაზეთის ტელევიზია
**22.10** მხ. ფილმი „ბედის საჩუქარი“
**23.45** კონცერტი „რცხილაძე და სიუტკინი“

### იბერია

**08.00** აღსავალი
**08.20** ანონსი, მულტფილმი
**08.30** მხ. ფილმი „მაქს კიბლის შურისძიება“
**10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25** მუსიკა
**10.20** მხ. ფილმი „კომბოსტოს წვნიანი“
**13.10, 18.00** მულტფილმი
**14.10** დოკ. ფილმი
**15.00** მხ. ფილმი „შოგა ვილი ჰავთან 3“
**17.30** დოკ. სერიალი
**18.45** ბუნების ფერები
**20.00** მხ.ფ. „გაფრენა სანტა კლაუსთან“
**22.15** მხ.ფ. „კრიჭაშეკრული“
**00.30** ღამის ფილმი

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი „ამერიკული ღვეზელი 2“
**13.40** მხ. ფილმი „მახე“
**15.30** მულტფილმი „ურჩხული და მზეთუნახავი“
**17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“
**17.15** მხ. ფილმი „უკან მომავალში 3“
**19.20** მუსიკა
**21.00** მხ. ფილმი „60 მილიონ დოლარად შეფასებული ოპერაცია“
**22.30** მხ. ფილმი „შეცდომითი სამიზნე“
**00.20** მხ. ფილმი „ვარსკვლავური დესანტი“

### მეცხრე არხი

**10.00** მხ. სერიალი „ზურგის ქარი“
**10.45, 11.50, 15.20, 17.30, 19.50, 20.40, 21.10, 21.45, 23.35** მუსიკა
**11.00** მხ. სერიალი „მოჯადოება“
**12.00** რუსული სერიალი „ზამთრის ალუბალი“
**12.30** მულტფილმი „წითელქუდა“
**13.20** ქართ. მხ. ფილმი „მარტოხელა მონადირე“
**15.35** რუს. ზღაპარი „ქარიყლაპიას სურვილით“
**16.30** დოკ. ფილმი „ველური ბუნება“ 68-ე ნაწილი
**17.40** მხ. სერიალი „ზურგის ქარი“ 39-ე სერია
**18.30** მულტფილმი „მეფის ასული შეჰერეზადა“ 39-ე სერია
**19.00** მხ. სერიალი „მოჯადოება“ 85-ე სერია
**20.00** მოკ. მხ. ფილმი „სათადარიგო ბორბალი“
**2050** რუსული სერიალი „ზამთრის ალუბალი“ მე-5 სერია
**21.30** „მსოფლიო კულტურის საგანძური“. „აისლებენი და ვიტენბერგი. მარტინ ლუთერის ღირსახსოვარი ადგილები. გერმანია“
**22.00** მხ. ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა“
**23.55** მხ. ფილმი „გაქი და ჯადოსნური სამაჯური“

### VII არხი

**10.05** მელოდია
**10.15** „სახლიდან გაუსვლელად“ - მობილურები
**10.55** მხ.ფ. - „ფრთხილად დენისია“
**12.05** კომპიუტერული ტექნიკა
**12.45** ტელესერიალი - „გრაფ მონტე კრისტო“ - მე-5 სერია.
**13.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა
**13.55** იუმორი
**14.05** ნახატი ფილმი - „შესანიშნავი გარტოკი“
**15.05** აუდიო-ვიდეო-ტელე
**18.05** მელოდია
**18.20** მობილურები
**19.00** „აჩიკუდა“
**19.45** კომპიუტერული ტექნიკა
**20.20** „მუსიკალური ობიექტივი“ -სტუმარი
**21.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა
**21.45** მელოდია.
**22.15** მხ.ფ. - „შეყვარებულები“
**00.30** მელოდია

### ОРТ

**08.00, 11.00, 19.00** Новости
**08.10** Худ.фильм „Сердце дракона“
**09.35** Мультсеанс
**10.15** Дог-шоу
**11.10** „Непутевые заметки“
**11.30** Пока все дома
**12.05** „Властелин вкуса“
**12.55** „Русская рулетка“
**13.50** „Клуб путешественников“
**14.30** КВН-2002. Финал 2002 года
**16.55** „Ералаш“
**17.25** Комедия „Доктор Дулиттл“
**19.15** Песня-2002, часть 3

**22.00** Время
**22.25** Боевик „Скорость 2“
**00.40** Боевик „Когда мы были королями“
**02.20** Триллер „Черепа“

### ОРТ

**08.00** Комедия „Одиннадцать друзей Оушена“
**10.10** Мультсериал „Ну, погоди!“
**10.55** „Традиционный сбор“. „Голубой огонек“
**12.25** Комедия „Покровские ворота“
**15.00** Вести
**15.20** Комедия „Опасный Деннис нападает снова“
**16.45** Праздничный концерт
**17.45** Клуб „Театр+ТВ“. Новогодний капустник
**19.25** Комедия „Сестры“
**21.00** Вести
**21.25** Худ.фильм „Терминатор. Судный день“
**23.50** „Золотая коллекция „Голубых огоньков“
**01.35** Комедия „Вечеринка продолжается“

### НТВ

**08.30** День Масяни
**08.35** Худ.фильм „Тот самый Мюнхгаузен“
**11.00, 12.00, 13.00, 14.00, 16.00** „Сегодня“
**11.05, 12.05, 13.05** Масяня. Лучшие мульты
**11.10** „Кулинарный поединок. Накануне рождества“
**12.10** „Квартирный вопрос. Дискотека в детской“
**13.10** „Фактор страха“
**14.05, 15.20, 15.55, 16.05, 16.55** Масяня. Лучшие мульты
**14.10** Фигурное катание. Чемпионат России. Показательные выступления
**15.25** „Женский взгляд“ О.Пушкиной
**16.10** Своя игра
**17.00** „Сегодня“
**17.20, 19.25, 19.55** Масяня. Лучшие мульты
**17.25** Комедия „Сделано в Америке“
**19.30** „Вы будете смеяться!“
**20.00** „Сегодня вечером“
**20.30** Боевик „Звездные врата“
**22.35** Худ.фильм „Бешеный пес и Глория“
**00.20** Праздничный концерт ко Дню Масяни
**00.35** Комедия „Сто девчонок и одна - в лифте“
**02.05** Сериал „Воры“, 1 с.

## სკანდინავიური კროსვორდი







Visage

ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLLI ENGINEERING

მიკროკრისტალურ დერმოგრაზიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

## საგაზეთო ქაღალდი ფასდაკლებით

შ.პ.ს ენ-ჯი-სი
გთავაზობთ
საგაზეთო ქაღალდს რუსეთიდან

### საშობაო ფასდაკლება

15 იანვრამდე
ფასი -580$-მდე

ტელ: 38 86 79 53 76 30 899 50 92 99

## DERTOUR-ი გთავაზობთ

DERTOUR-ის წარმომადგენლობა საქართველოში LPS-ის ტურისტული ბიური გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტურებს ნებისმიერ კონტინენტზე, სასტუმროების დაჯავშნა ყველაზე იაფ ფასებში ადგილზე ვაუჩერის გაცემით, Club Med-ის კურორტები, Disnay Land, კრუიზები გემით - წყნარ და ატლანტის ოკეანეებში, კარიბისა და ხმელთაშუა ზღვაში, ევროპის მდინარეებზე, მანქანის დაქირავება ევროპის ნებისმიერ ქალაქში, საზამთრო ტურები ალპებში ავსტრია, გერმანია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი, ტურები ახალდაქორწინებულთათვის, ასევე LUFTHANSA-ს ავიაბილეთები ევროპის ქალაქებიდან, ავიაბილეთები ყველა მიმართულებით, რუსეთის და ევრო ვიზები.

DERTOUR
მისამართი: გამსახურდიას 24/2;
Tel: 91-24-24; Tel/Fax: 25-16-47;
E-mail: lps@access.sanet.ge

## წამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.